

# მაკავეელი
# מכבי


**რედაქცია**

დროებითი მისამართი: ტფილისი, იერუსალიმის ქ., ღვინის შესახვევი № 7

**განცხადების ფასი**

ნონპარელი სტრიქონი ჩერვ. კურსით:

პირველ გვერდზე . . . . . 40 კაპ.

მეოთხე გვერდზე . . . . . 20 კაპ.

კვირა, თებერვლის 24 1924

19 ადარ 5684

ფასი 10 კაპ. ჩერვონეცით


ეროვნული ბიბლიოთეკა

**№ 1. ორკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური გაზეთი № 1.**

## ჩვენი გაზეთი

როგორც ზღვის აგორებული ტალღები ეხეთქებიან სალ-კლდეს, იმსხვრევიან და ქაფად დაშლილნი ბრუნდებიან უკან, მაგრამ არა იმიტომ რომ შესწყვიტონ ბრძოლა მიზანში ამოღებულ კლდესთან, არამედ უფრო მოიკრიფონ ძალა, მეტის სიმძლავრით და გახელებით ეკვეთნონ მას, სანამ უპოვიდნენ მისადგომს, შეუვიდოდნენ მას როგორმე, რომ მოჰგლიჯონ იგი ძირიან ფესვიანად—აგრეთვეა აზრთა ბრძოლაც გონებრივ სფეროში. ადამიანი არასოდეს არ ცხრება, იგი მუდამ აწარმოებს იდეიურ ბრძოლას,—ხდება ძველსა და ახალს შორის სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკება, განუწყვეტელი დუღილი და ღრღნა, სანამ უკანასკნელად, მიუხედავათ გარეგნულ შეხედულებით ვითომდა მრავალჯერ პიყუჩებისა და უკან დახევისა, მაინც ახალი ცხოვრების აზვირთებული ტალღები არ გამოუხრავენ და გამოულრღნიან ძირს ძველ ცხოვრებას და შეაყენებენ განწირვის გზაზე.

ასეთია ყველა ხალხების ცივილიზაციის ისტორია მისი სულიერი განვითარების და წინსვლის პროცესში: განუწყვეტელი გონებრივი ბრძოლა, დუღილი, დაუდგრომლობა, სულიერი შფოთვა და თავგანწირული ძიებანი ახალი გზებისათვის კაცობრიობის საბედნიეროდ. ასეთივე სულიერი ბრძოლა განიცადა თავის ისტორიის სარბიელზე, ერთა შორის თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, უფრო მშფოთარე და არსებულ ცხოვრების პირობებთან შეურიგებელმა ხალხმა—ებრაელ ერმა. ის არასოდეს ისტორიის მსვლელობას და საერთო საკაცობრიო ცხოვრების ბორბალის წინსვლას უკან არ ჩამორჩენია და ყოფილა მუდამ მებრძოლთა წინა რიგებში.

მაგრამ დიდ გამონაკლის შეადგენს ამ ერის ერთი ნაწილი—საქართველოს ებრაელობა. ერის ეს ნაწილი თითქოს რაღაც განგებით მოწყვეტია მთლიან ზღვის ნაპირს და განმარტოებით მომწყვდეულა ხმელეთის ვიწრო ჩარჩოებში, როგორც პატარა ყურყევი და უსიცოცხლო ტბა, რომელსაც ხავსი მოჰკიდებია და მრავალი წლებისა და საუკუნოების განმავლობაში ერთ უცვლელ დონეზე მდგარა. თუ რა ისტორიული მიზეზები და ცხოვრების პირობები იყო, რომელიც ხელს უწყობდენ, რომ ასე დაწყობილიყო საქართველოს ებრაელთა ცხოვრება, ეს მომავალ ამოცანას შეადგენს, როდესაც ჩვენ საქართველოს ებრაელთა ისტორიის გამოკვლევას შეუდგებით; მაგრამ მაინც ფაქტი კი ფაქტათ რჩება, რომ საქართველოს ებრაელთა ცხოვრება და ყოფა სრულიად უშინაარსოს და საერთო საკაცობრიო ცხოვრების ქარგიდან მოწყვეტილ ნაკვეთს წარმოადგენდა. იგი თავის ვიწრო ხეჭუჭში იყო გამომწყვდეული, მისი მსოფლმხედველობა მეტად ვიწრო იყო და პრიმიტიული, საერთო საკაცობრიო მაჯისცემისადმი დაჩლუნგებული; იგი ოცნებობდა მხოლოდ თავის ინსტიქტიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე, ლუკმა-პურზე, და სხვა არაფერზე. როგორც მოჯადოებული ზღაპრული პიროვნება, რომელიც მუნჯი და უგრძნობია ყველა იმის შესახებ რაც ხდება მის გარეშემო, ასეთი იყო დღემდე საქართველოს ებრაელობა მის მრავალ საუკუნოების ცხოვრებასა და არსებობაზე შეგვიძლია თამამად განვიმეოროთ პოეტის სიტყვები:

ეგრე უბრალოდ გაფუჭდები და
ჩვენ ხსოვნასა
არაფერი არ მოაგონებს შენს „აქ"
ყოფნასა.

მაგრამ ყოველისფერს ჰქონია თავისი დრო, და საქართველოს ებრაელთა ჩამორჩენილობასაც თავისი ბოლო. ამ უკანასკნელ ხანებში, ამ მიყრუებულ ტბის ზედა პირსაც დაჰბერა ცხოვრების ძლიერ ქარიშხალმა და შეარყია საგრძნობლად. მის, თუმცა მცირერიცხოვან მაგრამ ხალისით სავსე ახალგაზრდობაშიც დაიბადა სურვილები კულტურულად აღორძინებისა და ლტოლვა სწავლა-განათლებისადმი. დღევანდელი ცხოვრების აბობოქრებულ მსვლელობამ წამოსჭრა მის წინაშე მრავალი საკითხები მთელი თავიანთი სიგრძე-სიგანით, რომელნიც ვერ ითმენენ სიყუჩეს და მოითხოვენ იმისაგან გადაჭრილ პასუხს. აი სწორედ ჩვენი გაზეთი „მაკავეელი" არის გამოძახილი ამ სულიერი მოძრაობისა, ამ გარდატეხისა ჩვენ საქართველოს ებრაელთა ცხოვრებაში. თვით სახელი „მაკავეელი", სახელი ისტორიული ეროვნული გმირისა, სიმბოლოა ერის დაუშრეტელი გენიისა, მარადი ბრძოლის უნარისა და ეროვნულ-კულტურულ აღორძინებისა. და ამნაირად ჩვენი გაზეთის დანიშნულება უკვე ნათელია. იგი არ არის ვიწრო ჯგუფური ხასიათისა. იგი სდგას გარეშე ყოველივე პარტიისა და პოლიტიკისა და იღებს ერს მთელი თავისი შემადგენლობით. იგი სახალხო გაზეთია მთელ საქართველოს ებრაელთა, მათი ტრიბუნა. გაზეთი არავითარ ტენდენციას არ ისახავს გარდა ერთად-ერთი ტენდენციისა—საქართველოს ებრაელთა შორის სწავლა-განათლების გავრცელება, მათი სალათას ძილიდან გამოღვიძება, მრავალ საუკუნოებრივ მის გარეშემო მოქსოვილ სიბნელის ქსელის შემოხევა და სინათლისაკენ მითითება, მისი კულტურულად ამაღლება და სოციალ-ეკონომიურად გაჯანსაღება. იგი იდგება საქართველოს ებრაელთა სადარაჯოზედ და არ გამოუშვებს არც ერთ საკითხს მის ცხოვრების წიაღში შობილს, რომ ჩვენი გაზეთი არ შეეხოს მას, არ გამოსთქვას თავისი აზრი, არ გააშუქოს იგი და არ მიუთითოს საზოგადოებას მის სასურველად გადაჭრისაკენ საზოგადოების საკეთილდღეოდ.

ჩვენი გაზეთი, როგორც პირველი ნაბიჯი, რომელიც ისახავს პრეტენზიებს შეიჭრას საქართველოს ებრაელთა მასებში, ითვალისწინებს—რა მის ინტელექტუალურ დონეს, ეცდება, რომ იყოს გასაგები, პოპულიარული, მდაბიო ენით, რათა მისაწდომი გახდეს ამ საზოგადოების ყველა წრეებისათვის.

როგორც ვსთქვით ჩვენი გაზეთი იდგება ყოველივე პოლიტიკისა და პარტიების გარეშე, მაგრამ ამასთანავე იგი იდგება ეროვნულ თვითგამორკვევის პრინციპზე, ეროვნულ-კულტურული აღორძინების პლატფორმაზე, სასტიკად შეებრძოლება ასიმილიაციის ტენდენციას, საქართველოს ებრაელთა ეროვნული სახეობის წარხოცის ცდას და იგი შეეცდება, რომ ეს ნაწილი მსოფლიო ებრაელი ერისა აამაღლოს კულტურულად, აიყვანის იმ მაღალ ინტელექტუალურ დონე დე, რომლამდინაც მიღწეულნი არიან მისი მოძმენი დედამიწის სხვა და სხვა კუთხეებში, რომ ისიც ჩადგეს საკაცობრიო პროგრესისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში და გარდაიქცეს აქტიურ ძალათ.

გამოვდივართ-რა ყველა აქედან, ჩვენ ვითვალისწინებთ მთელ სიმძიმეს ჩვენი დანიშნულებისას, ჩვენ ნორჩ ძალებს და ჩვენს მიერ დასმულ ამოცანათა სიძნელეს. მაგრამ მაინც გულს არ ვიტეხთ და უდგებით ამ გაეკლიელი გზის გათელვას სრულის შეგნებით. ჩვენი გაკაჟებული ნებისყოფა და გაათკეცებული ენერგია თავდებია ჩვენი გამარჯვებისა.

მაშ დაე ყველა ებრაელის გულში ჰპოვოს ჩვენმა მოწოდებამ გამოძახილი, განსაკუთრებით ახალგაზრდათა შორის, დაეწაფონ კულტურას და განათლებას, შემოკრბენ ჩვენი ორგანოს გარშემო და შეერთებული ძალით, ხელი ხელს ჩაკიდულნი გასწიონ ცხოველ მყოფელ ბრწყინვალე მზისაკენ!!

## „მაკავეელი"

ისტორიის ულმობელ კანონებმა ათეულ საუკუნეების მანძილზე შავი ნისლით დაჰფარა საქართველოს ებრაელთა შორის ყოველგვარი კულტურული მოძრაობა. საუკუნეები გარბოდენ როგორც აბობოქრებული ოკეანეს ტალღები; ისტორიამ უამრავ ღირსშესანიშნავ მოვლენების წინაშე წააყენა კაცობრიობა, მაგრამ საქართველოს ებრაელთათვის ყველა ეს უმნიშვნელოდ ინთქებოდა ისტორიის სიღრმეში და არავითარი ცვლილება არ ხდებოდა მათი ცხოვრების ზედაპირზე. **ინდიფერენტიზმი, ხრული არარაობა, და დუმილი მარადიული**—აი რა ახასიათებს წარსულში ჩვენს თანამოძმეებს.

მაგრამ ეს არ შეადგენს ამ ჟამად ჩემი თემის საგანს. ჩვენი წარსული საქართველოში გარემოცულია საიდუმლოების ბურუსით და საჭიროა მისი გარღვევა. ეს უახლოესი მომავლის საქმეა. ამაზე ალბად ისტორიკოსი მთელ ტომებს შეადგენს.

დღეს შეიცვალა პირობები. თანამედროვე ეპოქაში მანქანების სისტემაა გამარჯვებული; მაგრამ ჩვენი საზოგადოება მიყრდნობილი ორიათას წლიან ბალიშზე, დღესაც განაგრძობს მაგარ ძილს და არც კი ზრუნავს გამოღვიძებაზე, მას ვერ გაუგია მანქანების შინაარსი.

დღეს, როდესაც ისტორიულ არენაზე ხელისუფლების მესაჭედ გამოვიდა მშრომელთა მთავრობა,—დღეს როდესაც ძველი ჟანდარმები ველარ დაგვიბრიალებენ თვალებს თავისუფალი ამოსუნთქვისათვის—რა გვიშლის ხელს, რომ შევეცადოთ რათა ამიერიდან ჩვენც გვიწოდონ კულტუროსანი მოქალაქეები?

თუ ჩვენი საამაყო ძმების სახელებით მოჭედილია მსოფლიოს ისტორია წარსულში და თანამედროვე ხანაში—ჩვენ რა დავაშავეთ, რად უნდა ჩამოვრჩეთ მათ და კაცობრიობის კულტურის სალაროში რად არ უნდა შევიტანოთ ჩვენი წვლილიც?

და ჩემ წინ საკითხი სდგას დღეს მთელი სიმწვავით: რად?

პასუხი აუარებელია, მაგრამ ერთი უმთავრესი: **ჩვენ არაფერი არ გვაქვს.**

მასსა—საზოგადოება არ არის დაინტერესებული და ჩათრეული კულტურულ აღმშენებლობაში; ცოტად თუ ბევრად შეგნებული ელემენტებიც შორს სდგანან რაიმე პრაქტიკული მუშაობისგან.

სიბნელის გუშაგი გვმფარველობდა წარსულ საუკუნეების მანძილზე და ასეთივე უჩინარი სიბნელეა გამეფებული დღესაც.

მაგრამ ჩვენ არ ვეძლევით სასოწარკვეთილებას და პესიმიზმში არ ვეძებთ სულის სიმშვიდეს.

არის ისეთი მომენტები, როდესაც აზვირთებულ ზღვის ტალღებში გზადაპნეულ გემს გამოუშუქებს რომელიმე უახლოესი სადგურის ელნათური და გემზე მყოფთა გულებში შეანათებს იმედის სხივები.

როცა ძველი ბერძნები ტროას მინდვრებზე უმთვარო ღამით მტერთან საომრად ემზადებოდენ—ძმები აგაქსები სინათლეზე ლოცულობდენ, რომ მტრის სახე გაერჩიათ.

ჩვენი მეტად მცირე, ახალგაზდა, ნორჩი ძალებით ვოცნებობთ რა ამ სინათლეზე გამოვთქვამთ სურვილს და ვნატრობთ, რომ ეს სინათლე, რომელიც ასე სჭირია ჩვენ საზოგადოებას, ყოფილიყოს ჩვენი **„მაკავეელი"**.

ცდა ორგანოს შესაქმნელად არ არის ახალი. ამ 4—5 წლის წინედ ენერგიული პირების თაოსნობით ქ. ქუთაისში გამოვიდა 15 ნუმერი გაზ. „ხმა ებრაელისა".

ამის გარეშე საქართველოს ებრაელებს არა ჰქონიათ რაიმე პერიოდული ან არა პერიოდული ორგანო. მაგრამ „ხმა ებრაელისა" და „მაკავეელი" ყოველი მხრივ წარმოადგენენ ორ მოპირდაპირე პოლიუსებს.

„ხმა ებრაელისა" გამოდიოდა განსაკუთრებულ პირობებში, მისი გამომცემელი იყო ინტიმური ამხანაგური წრე, რომელსაც დასახული ჰქონდა საქართველოს ებრაელთა დაახლოება და გაცნობა მსოფლიო ებრაელთა მოძრაობასთან.

„მაკავეელი" კი მოდის როგორც სტიქია, რომელსაც განუზრახავს შეიჭრას საქართველოს ებრაელთა ცხოვრების მთლიან სულსა და გულში.

„მაკავეელი" უნდა იყოს საქართველოს ებრაელისათვის ის სარკე, სადაც იგი თავისუფლად ამოიკითხავს თავისი სულიერი შველის შესაძლებლობას.

„მაკავეელი" უნდა იყოს ის პირველი ისტორიული გვერდი, სადაც ჩვენი აზრთა დალაგებით, თანდათანობით მათი განვითარებით შევძლოთ ამოვჭრათ ჩვენი მიმართულება: **რევოლიუციონური ძიება.**

და განა რევოლიუციონური ძიება არ არის ყველა ის მიზნები, რაც დაუსახავს „მაკავეელს?"

ბრძოლა კულტურისა და პროგრესისათვის, ბრძოლა სინათლისათვის, დამხობა ძველი დრომოჭმული რუტინებისა, გარდაქმნა ჩვენი საზოგადოების უკულმართ ყოფა-ცხოვრებისა—განა ყველა ეს არ არის რევოლიუციონური ძიება?

მართალია ამ სიტყვის თქმისათვის უდიდესი ენერგიაა საჭირო რომ დაიხარჯოს, უდიდესი მსხვერპლი უნდა გავიღოთ ახალგაზრდებმა, რათა ჩვენ დასახულ წმინდა მიზანს არ ვუღალატოთ და ყველა ეს ისეთ დროს, როდესაც ჩვენ კარგად ვგრძნობთ, რომ ჩვენ აუარებელი დაბრკოლებები [illegible] წინ—მაგრამ ჩვენი დაწყებული საქმე უნდა დავაგვირგვინოთ. ჩვენ ვუდგებით საქმეს მტკიცე იმედით.

**ჩვენი მიზანი წმინდაა და ნათელი.**

„მაკავეელი" უნდა იყოს ის ორგანო, სადაც უნდა მოიხაზოს ტიპი და დაიხატოს პორტრეტი მებრძოლი ებრაელის. რამდენად გამართლებს „მაკავეელი" დაკისრულ მოვალეობას ამას მომავალი გვიჩვენებს, მაგრამ მისი მიმართულება უნდა იყოს აქეთკენ, მისი გეზი უნდა იყოს ასეთი.

როგორც ოდესღაც სირიელებთან ბრძოლის დროს მაკავეელთა გვარი ებრაელებისთვის წარმოადგენდა გამამხნევებელ იარაღს—შველის სიმბოლოს—ისე დღეს ჩვენი „მაკავეელიც" საქართველოს ებრაელთათვის უნდა იქცეს სულიერ შველის სიმბოლოდ.

„მაკავეელის" წმინდა და დიად კულტურულ მიზნების წინაშე ყველანი შევკავშირდეთ მჭიდრო კავშირით!

„მაკავეელი" ვაქციოთ იმ სამრეკლოდ, რომელიც გამოაღვიძებს მძინარეებს და ამოიყვანს მათ ბნელეთის ჭაობიდან, სადაც ისინი ჩაფლულან ათეული საუკუნეების განმავლობაში.

„მაკავეელის" გარშემო უნდა შეიკრიბონ ყველა ებრაელი ინტელიგენტები, ცოტად თუ ბევრად შეგნებული პირები, რომელთაც აინტერესებთ თავიანთი ხალხის ბედშავი პირობების გაუმჯობესება.

ფაქტია: **„მაკავეელი"** გამოდის ისტორიულ არენაზე. ჩვენს ეპოქაში, ჩვენს ცხოვრებაში ეს დიდი მოვლენაა, ეს მთელი რევოლიუცია.

რთულია მისი მოვალეობა. ვუსურვებ მას ჩვენი ხალხის საკეთილდღეოდ გაემართლებინოს თავისი მისია.

სალამი ახალ სიტყვას!

სალამი „მაკავეელს".

**გერცელ ბააზოვი.**

## სწავლა-განათლების საკითხის გარშემო

საქართველოში არც ერთი ერის შვილი არ არის მგონი, სწავლა-განათლების მხრივ ისეთ უმწეო მდგომარეობაში და კულტურულათ ჩამორჩენილი, როგორც ადგილობრივი ებრაელობა.

ისტორიიდან ვიცით, რომ უძველეს ხანაში ქრისტეს დაბადებამდი და მის შემდეგ საქართველოში დასახლებულ ებრაელთა შორის მრავალნი ყოფილან ნაქები სწავლით და ცოდნით. ეს იმიდან სჩანს, რომ, როდესაც ირჩეოდა ებრაელ ერისთვის უპირველესი მნიშვნელობის საკითხები პალესტინაში, იქ იწვევდენ ხოლმე საქ. ებრაელთა მსწავლულ-მღვდელთ მთავარებსაც.

მხოლოდ, რა პირობები შეიქმნა საქართველოს ებრაელთათვის ქრისტეს მოძღვრების გავრცელების შემდეგ, სამწუხაროთ, დაფარულია საიდუმლოებათა ბურუსით, ვინაიდან მათზე თითქმის არა ისმის რა, გარდა იმისა, რომ ყმებად ქცევის შემდეგ საყდრის და ერის მეფეები მათ ჰყიდდენ და ჰყიდულობდენ, და გადააჩუქ-გადმოაჩუქებდენ ქვეყნის ერთი კუთხიდან მეორე კუთხეში.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისს საქართველო დაიპყრო მეფურ რუსეთმა. მტარვალურ წესწყობილებას რუსეთის ებრაელთათვის ზიანის გარდა მეტი არაფერი მოუტანია რა: „პროცენტული" „უფლებათა შეზღუდვა ნასწავლ და მოსწავლეთათვის". მაგრამ მაინც აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მე-XIX-ტე საუკუნის მეორე ნახევრის დასასრულში საქ. ებრაელებშიდაც, წახედულებით იყო თუ სხვა გვარ, იბადება სურვილი სწავლა-განათლებისა და მის ცხოველ მყოფელი მზის სხივებით ებრაელის ქუჩის განათებისა

ჩვენდა სავალალოდ, ორიოდე პირველ მერცხალმა გაზაფხული ვერ შექმნეს. ამ დროს, დიდი ენერგიის დახარჯვის შემდეგ, რუსის ებრაელის ლანგის და იშვიათი პიროვნების და საზოგადო მოღვაწის, ნეტარ ხსენებულ, ისხაკ მეკინულოვის თაოსნობით ქ. ქუთაისში გახსნილი სახალხო სკოლა დაიკეტა—ხალხში იმდენათ იყო გამჯდარი სიძნელე და წყვდიადი, ფანატიზმს იმდენათ მძლავრათ მოეკიდა ფეხი მასსაში, რომ ყოველივე ცდა კულტურულ ღირებულებათა დასამყნობად ამაოდ რჩებოდა.

სამაგიეროთ, უკვე მეოცე საუკუნეში გადმობიჯებისას, შესამჩნევი ხდება ჩინური კედლების აქ იქ გარღვევა; და საქ. ებრაელთა შორისაც თბილისში და ქუთაისში ჩნდებიან მცირე ჯგუფი ინტელლიგენტებისა, მოსწავლე ახალგაზრდობისა. საშინელ პირობებში უხდებოდათ სწავლა-განათლებასთან დაახლოვება ჩვენ პიონერებს, მისი ხალხში გადატანა და დამკვიდრება კი ხომ ტიტანური ენერგიის დახარჯვას და პირდაპირ გმირულ თავგანწირვას მოითხოვდა, ვინაიდან სწავლა-განათლებას გაუჩნდენ მოსისხლე მტრები: უვიცი და გაუნათლებელი ხახამ-რაბინები, მათი ბნელი ამალით.

კულტურულ ფრონტზე, აქტიური ბრძოლის ხანა უკვე 1915 წლიდან იწყება, როდესაც, შეგნებულ და გათვითცნობიერებულ ონის ყოფილი რაბინის დავით ბააზოვის მთელი რიგი წერილებისა დაიბეჭდა, სადაც ეს პატიოსანი პიროვნება ხალხს სწორე გზისაკენ უთითებდა, უხსნიდა სწავლა განათლების საჭიროებას დაუცილებლობას, უხატავდა სიდიადეს კულტურულად ამაღლებულ ებრაელისა.

ამხ. დ. ბააზოვთან ერთად სწავლა განათლების ხალხში დასამკვიდრებლათ იბრძოდენ ის მცირეოდენი ინტელლიგენტთა ჯგუფი, რომლებიც, როგორც ვთქვით, აქ იქ გვაჩნდენ საქ. ებრაელთა შორის.

ბრძოლა სწარმოებდა თუ ჟურნალ-გაზეთების—„სამშობლო", „ჩვენი ქვეყანა", „საქართველო", შემდეგ გადატანილ იქმნა საკუთარ ორგანოში: „ხმა ებრაელისა"—თუ სიტყვიერი აგიტაციის საშვალებით, ასეთ ბრძოლას, მაინცა და მაინც, უშედეგოთ არ ჩაუვლია, მაგრამ ამ დროს 1917 წ. რევოლიუციამაც მოგვისწრო.

რევოლიუციის შედეგად იყო ხალხის მონობიდან ხსნა, უფლებრივ შეზღუდვათა გაქარწყლება და უაღრესი ენტუზიაზმი. საქართ. ებრაელები გამონაკლის არ შეადგენდენ. ხალხმა-მასსამ, როგორც იქნა, შეიგნო სწავლა-განათლების სიდიადე და მისი აუცილებლათ საჭიროება. ამიტომ საერთაშორისო ომის უკანასკნელი წლები და რევოლიუციის პირველი დღეები აღორძინების ხანად უნდად ჩაითვალოს საქ. ებრ. ცხოვრებაში, ვინაიდან ამ ჟამს თბილისში, განსაკუთრებით კი ქუთაისში, პროვინციებიდან: ონში, ცხინვალში, ახალციხეში, სკოლები სავსე იყვნენ მოსწავლე ებრაელთა ქალ ვაჟით. ერთ დროს ამ პერიოდში ებრაელ მოწაფეთა რიცხვი ქუთაისის ზოგიერთ სასწავლებელთა კლასებში მოწაფეთა საერთო რიცხვის 50 პროც. აღემატებოდა, მიუხედავათ იმისა, რომ მენშევიკების დროს სკოლები არ იყვნენ დამაკმაყოფილებელი ეროვნული, ებრაული თვალსაზრისით: იქ არ ასწავლიდენ არც ებრაულ ენას, არც ისტორიას. და რადგან ებრაელთა მასსას საშვალება ეძლეოდა ყოველივე ამის და საღმრთოსჯულის შეთვისებისა საკუთარ თალმუდ-თორებში და მიდრაშებაში, ამიტომ იყო რომ ხალხი არ აუმხედრდა საერო შკოლებს და გზავნიდა იქ თავიანთ შვილებს.

პირდაპირ ბრწყინვალე მომავლის მოლოდინში ვიყავით საქ. ებრაელთა კულტურის მოტრფიალე ახალგაზრდობა, როდესაც გადავხედავდით ხოლმე ებრალის ქუჩას.

სამწუხაროთ, მასვე როდი ვხედავთ საქართველოს გასაბჭოების შემდგომ. წინააღმდეგ, თითქმის ყველა სკოლები და სასწავლებლები დაიცალენ ებრაელ მოწაფეებიდან და ისინი, ვინც წინათ სწავლაში დროს ატარებდენ დღეს ქუჩაში გამოსულან „სპიჩკა-თუთუნ-შ უროკების" ყიდვა-გაყიდვაში ან და მშობლების მაღაზიებში არშინის ზღაზვნაში და ფარჩის შარიშურში ჰპოულებენ სულიერ საზრდოს.

მართალია ისიც, რომ ეს ცუდი მოვლენა შედეგია, ერთის მხრივ, საქ. ებრაელთა ეკონომიურათ დაცემისა და, მეორეს მხრივ, შედეგია ბნელი ძალების მიერ, გასაბჭოების შემდეგ ხალხში გავრცელებულ ათასგვარ პროვოკაციისა.

ასეთ პროვოკაციულ ხმებს შესაფერი შედეგიც მოჰყვა: ხალხი შეკრთა, ებრაელია მასსა კვლავ ჩამოშორდა სწავლა განათლებას, მასსაში ხელმეორეთ გამეფდა სიბნელე და ფანატიზმი.

განვლო გასაბჭოების პირველ წლებმა, არ გამართლდა ხალხის „მეგობრების" პროგნოზი: საქართველო კვლავ არსებობს და წესწყობილება არც ისე „ცუდი"-ა, როგორც ხმებს ავრცელებდენ ათასგვარი ბნელი ძალები.

ამიტომ დროა, რომ ხალხი გამოფხიზლდეს, შეიგნოს ერთჯერ და სამუდამოთ ის, რომ რა წესწყობილებამაც და მთავრობამაც არ უნდა იარსებოს, უსწავლელი კაცი მე XX საუკუნეში უვარგისი და მავნეა, გამოუსადეგარი „ღვთისთვისაც და კაცისთვისაც".

დღეს, როდესაც საქ. ებრაელთა ეკონომიურათ და სულიერათ ასეთ განადგურების მოწმენი ვხდებით, ერთ უმთავრეს საშუალებათ მისი აღორძინებისა სწავლა-განათლების ხალხში ფართოდ გავრცელება უნდა მივიჩნიოთ.

მასსის გულცივობისა გამო, ჩვენი მცირე ინტელიგენტთა ჯგუფი უძლურია საკუთარი ძალებით განახორციელოს მათ მიერ დასახული ზემოთმოხსენებული მიზნები, ამიტომ მთავრობამ, სახელმწიფო ორგანოებმა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელ საზოგადოებამ ყოველგვარი დახმარება უნდა აღმოუჩინონ მათ. მმართველი წრეები ვალდებულნი არიან დაუახლოვდენ საქ. ებრაელებს, გაიგონ მათი ჭირ ვარამი და შეძლებისა დაგვარათ დაგვეხმარონ კიდეც თუ კი სურთ ხალხის კეთილდღეობა.

საქართველოს ებრაელებს უნდა მივაწოდოთ ნამდვილი სულიერი საზრდო და არა მისი სუროგატები.

**დღეს ჩვენ ხალხს სჭირია საერთო-საკაცობრიო განათლებასთან ერთად, ებრაული ენის, საკუთარი ისტორიის და ეროვნული კულტურის ღირებულებათა შესწავლა; უაღრესათ საჭიროა სახელოსნო და სამეურნეო სკოლების გახსნა ებრაელის შვილებისათვის; უნდა მოეცეს საშუალება საქ. ებრ-თა შორის ბიბლიოთეკა-სამკითხველოების გახსნისა საქართველოს მასშტაბით,—ებრაელთა შორის საკუთარი გაზეთის არსებობისა. ფართოდ უნდა იყოს გახსნილი კარები შრომის სკოლებისა უფასოთ. და ვინაიდან ამას მოითხოვს საქმის კეთილად დაგვირგვინების ინტერესები. ებრაელთათვის საკუთარი შრომის სკოლების დაარსებაც უნდა მოხდეს, როგორც ქალაქებში ისე სოფლებში, რასაკვირველია იქ, სადაც საკმარისათ კომპაქტური საქ. ებრაელობა სცხოვრობს.**

ამ მხრივ აღსანიშნავია ტფილისში არსებული 102 შრომის სკოლა, რომელიც განსაკუთრებით საქ. ებრაელთათვის არის გახსნილი. იქ სწავლობს 400-მდე ებრ. მოწაფე და ეს სკოლა ამ ბოლო ხანებში დიდ სიმპატიას და ინტერესს იწვევს ხალხში, სიამოვნებით გზავნიან იქ თავიანთ ქალ-ვაჟს, ვინაიდან ამ სკოლაში შესაფერი ადგილი უჭირავს ებრაულ ენას და ისტორიას, დაცულია ებრაული ტრადიციები (თუ სავსებით არა ოდნავ მაინც) აი ამ ტიპის სკოლები გვჭირია ჩვენ, რათა ფართო მასსა საქ. მასშტაბით ჩავაბათ სწავლა-განათლების უღელში.

საჭიროა მომზადდეს საკმარისი კადრი მასწავლებლებისა თვით საქ. ებრაელთა წრიდან—ამასაც უნდა მიექცეს ყურადღება.

ყოველივე ზემოთმოხსენებულის განსახორციელებლათ, რომ საჭირო იქნეს ერთგვარი იძულებითი ზომები, მთავრობა არც ამას უნდა მოერიდოს, იგი არ უნდა შეუშინდეს არავითარ საშუალებას თუ კი ამით შესძენს კაცობრიობას შეგნებულ და ნასწავლ ებრაელს, საქართველოს კი სულიერათ და ფიზიკურათ გაჯანსაღებულ მოქალაქეს.

ჩვენ გვწამს, რომ სათანადო ორგანოები და საქ. მთავრობა მიაქცევენ ყურადღებას ჩვენს ღაღადისს და გაამართლებენ თავიანთ დაპირებას და ხალხის მოლოდინს.

ი. მოშიაშვილი.

## მაკაბეელი.

უნუგეშობამ შეარყია სულის ფიცარი.
ძაძით შეჰმოსა ებრაელთა მთა, ვაკე, ველი.
ვერ ამხნევებდა ერს ემბლემა დასაფიცარი
და უცბად გაჩნდა იეუდა მაკაბეელი!

ქედმოუხრელი და ამაყი. გმირი მხნედ არის,
მხარს უმშვენებენ მისივ ძმები როგორც სანთლები.
ულმობელია ოლიმპივით დიდი მხედარი,
აკანკალა საბერძნეთის ყველა სარდლები.

და ბრძოლის ველზე წმინდა სისხლი თუმც მან დაჰღვარა
ერი ჩაგრული ნეტარებას ისევ ეღირსა.
წმინდა მიზანი შეასრულა იმან ამგვარად,
რადგან უძლოდა ნებისყოფა ამაყ ერისა!

. . . . . . . .

ვატარებთ სახელს: წამებული და მგლოვიარე
შიშველი მკერდი გამუდმებით ექადს მდება.
მსოფლიო ძველი და ახალი შემოვიარეთ,
მაინც მედგრად სცემს ურყეველი სულისკვეთება.

გამოიცვალა საუკუნეები მრავალჯერ მეცად.
გაგანიერდა ტანჯვებიდან ხელის მტკაველი
მაგრამ ჩვენ ისევ ახალ გზებში არ ვკიოცებთ:
დარჩება მარად ჩვენს სიმბოლოდ: მაკაბეელი!

გერცელ ბააზოვი.

ტფილისი.
10 თებერვალი 1924 წ.

## ჩვენი ფიზიკურათ გაჯანსაღების შესახებ

ძველის დროიდგან ებრაელის ერი ცნობილია კაცობრიობის ისტორიაში, როგორც მწიგნობარი ერი, ანუ სულის ერი. და ეს, ნაწილობრივ, მართალიცაა, რადგან ებრაელობამ თავის 4 ათას წლიან არსებობის ხანაში მისცა კაცობრიობას გამოჩენილ მოღვაწეთა მთელი პლეიადა კულტურის ყველა დარგებში.

ნაკლებადაა აღნიშნული ისტორიაში ებრაელების ფიზიკური წარჩინება სხვა ერებთან შედარებით, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ჩვენი სახელმწიფოებრივობის არსებობის დროს, თუ მის დაკარგვის შემდეგ, პირდაპირ ზეკაცურ ბრძოლას ეროვნულ დამოუკიდებლობის შენარჩუნების, ანუ დაბრუნების მიზნით. სამაგიეროთ ცნობილია აგრეთვე ებრაელების ნაკლები განწყობილება სხვა და სხვა სოციალურ ავადმყოფობისაკენ, ნაკლები მიდრეკილება ამ ავადმყოფობათა გამომწვევ მიზეზებისაკენ და, საზოგადოთ, მეტი სიმტკიცე და სიწმინდე თავიანთ რასიული თავისებურების და მისწრაფება ამ უკანასკნელის შენარჩუნებისაკენ.

არ სცდება ნიცშე, როდესაც ამბობს, რომ: „ებრაელები წარმოადგენენ ყველაზე წმინდა, მტკიცე და ძლიერ რასას მთელ ქვეყანაზეო".

გადავხედოთ ეხლა საქართველოს ებრაელთა სინამდვილეს. გადავავლოთ მას მდგომარეობას მიუდგომელი, ობიექტიური თვალი და გამოვარკვიოთ, ექვემდებარება, თუ არა ჩვენი თანამედროვე სოციალური და ფიზიკურ-პათოლოგიური მდგომარეობა ებრაელების შესახებ მთელ მსოფლიოზე არსებულ აზრს.

თუ ამ საკითხს მიუდგებით ზერელეთ, დაუკვირვებლათ, მაშინ ვერავითარ შესამჩნევ ცვლილებას მის ცხოვრებაში ამ მხრივ, ვერავითარ ანორმალობას მის მდგომარეობაში ვერ აღვნიშნავთ, თუ, რასაკვირველია, მხედველობაში არ მივიღებთ კულტურულათ ჩამორჩენილობას.

მართლადაც, იგივე რასიული სიწმინდე გამოსჭვივის ჩვენშიდაც, რაიც ახასიათებს დღემდე მსოფლიოს ებრაელობას: იგივე ოჯახური ტრადიციების სიწმინდე, პატრიარქალობა, იგივე განვითარებული ნაყოფიერება და სხვა მრავალი ამ გვარ ეროვნულ ატრიბუტების დღემდე შენარჩუნება. ჰკისახიც (არა ებრაელი) ჩვენ შესახებ ამ აზრს ადასტურებს:

„И здесь Израиль чист душой,
Как отблеск горного алмаза:
Ветхозаветной простотой
Доныне дышет гость Кавказа".

მაგრამ ეხლა ჩავუკვირდეთ ჩვენი ცხოვრების სიღრმეს, ჩავსწვდეთ მას, და დავინახავთ ჩვენი სინამდვილის ჭეშმარიტ, სამწუხარო და მეტად გულშემატკივარ სურათს. საქართველოს ებრაელობის უკანასკნელ ხანებში ეკონომიურათ დაქვეითებას, მის პირდაპირ პაუპერიზმამდე მისვლას, ალბათ თავისი კვალი დაუმჩნევია მეტის მეტი ღრმა ჭრილობის სახით მის მომდღევნებულ სხეულზე. ჩვენ ვხედავთ, რომ მრავალი ინფექციური და სოციალური ავადმყოფობანი გაცილებით მეტათაა გავრცელებული ჩვენში, ვინემ სხვა მეზობელ ერებში (პროცენტულ პროპორციის მიხედვით). საერთოთ კი, ყოველგვარი ეპიდემიური ავადმყოფობანი ჩვენში პოულობს საუკეთესო და მზა-მზარეულ ნიადაგს თავის გავრცელებისათვის. მაგალითებისთვის შორს წასვლა არ დაგვჭირდება. გადავხედოთ დღეს ქუთაისს, ამ ციტადელს საქართველოს ებრაელობისას, და დავრწმუნდებით ამაში: უკანასკნელ წლებში პარტახტიანი ტიფით დაავადებამ ებრაელთ ქუჩაზე პირდაპირ მასიური ხასიათი მიიღო და უქადის ფიზიკურათ გადაგვარებას მთელ ებრაელობას, რადგან სიკვდილიანობის პროცენტი მეტად დიდია იმ, როგორც ეკონომიურ, ისე სულიერ სილატაკის გამო, რომელიც აგრეთვე ჩვენ ქვეყანაზე გამეფებულია.

არა ნაკლებათაა გავრცელებული ჩვენში, როგორც საზოგადოთ მთელ საქართველოში, მალარია, ინფლუენცია მოკლის ტიფი, რომელნიც პირდაპირ მუსრს ავლებენ მთელ ჩვენს ქუჩას, და ლამის შთაინთქვან ამ სნეულებათა გამომწვევ მიკრობებმა მთელი ჩვენი მომავლის იმედი. ძლიერაა აგრეთვე გავრცელებული უკანასკნელ ხანებში სხვა და სხვა სოციალური ავადმყოფობანიც, როგორც მაგალითად, ფილტვების ჭლექი, სასქესო ორგანოების დაავადებანი და სხვა, რომელნიც აგრეთვე საგრძნობ მსხვერპლს იწირავს. ნერვიული ავადმყოფობის (დამახასიათებელია საერთოთ ებრაელებისთვის) სხვა და სხვა სახე შედარებით ნაკლებათ გვხვდება ჩვენში.

მაგრამ პირდაპირ სასოწარკვეთილებას მიეცემა ყოველი პატიოსანი და თავის მოძმეთა მდგომარეობით დაინტერესებული ებრაელი, როდესაც გადაავლებს თვალს ჩვენი მომავლის იმედის, ჩვენი მოზარდი თაობის, ბავშვების მდგომარეობის სურათს. საზოგადოთ ცნობილია, რომ ავადმყოფი მშობლები წარმოშობენ ავადმყოფ ბავშვს. თუ დღეს ჩვენში ასეთი სიძლიერით აქვს ფეხი მოკიდებული მრავალგვარ ავადმყოფობას, გასაკვირი არაა, რომ ჩვენი მომავალი თაობა თავიანთ მშობლებზე სუსტი და სნეული იქნება. ეს კი გვიქადის ჩვენ თანდათანობით სრულიათ ფიზიკურათ განადგურებას.

ჩვენ ბავშვებში დღეს ძლიერაა გავრცელებული სხეულის სხვა და სხვა სახის განუვითარებლობა, დეფექტური მოვლენები, განსაკუთრებით რახიტიზმი, შემდეგ სიქაჩლე (Favus), ჩვენში საყმაწვილოს სახელწოდებით ცნობილი, სტრუმულოზი (ჯირკვლების ჭლექი), რომელნიც პირდაპირ ეპიდემიურ სახეს ატარებენ და სხვა მრავალი ისეთი ავადმყოფობანი, რომელნიც გამოიწვევიან საერთოთ კვების სიმცირისა და ანტიჰიგიენური პირობებში ცხოვრების გამო.

ასეთია მოკლეთ სურათი ჩვენი პათოლოგიისა მაგრამ ამ საკითხს ასე ლიათ დატოვება ჩვენ არ გვარგია. ჩვენ გვმართებს მეტის მეტი სიფხიზლე და ყურადღება, ჩვენ გვჭირია მეტი დაინტერესების გამოჩენა ამ საკითხისადმი და კულტურულათ აღორძინებისათვის ბრძოლასთან ერთათ, თუ პირველ რიგში არა, უნდა ვაწარმოოთ ბრძოლა აგრეთვე ფიზიკურათ აღორძინებისათვის, გაჯანსაღებისათვის, თორემ ისე ყოველი ცდა ჩვენი მარტო სულიერათ აღორძინებისაკენ სულ ამაო და უმიზნო იქნება.

ვინაიდან თქმულია უძველეს დროიდან ერთი ჭეშმარიტება, რომელსაც გვერდს ვერ აუხვევს ვერავინ ჩვენგანი: „Mens sana in corpore sano"—ჯანსაღი სული ჯანსაღ სხეულშიაო", ჩვენ სწორეთ ამ ჭეშმარიტებას უნდა დავეყრდნოთ და ამ თვალსაზრისით უნდა მივუდგეთ საქ. ებრაელების აღორძინების. საკითხს. უმთავრესი ყურადღება, რასაკვირველია, უნდა მივაქციოთ ბავშვებს, მათი დეფექტების გამოსწორებას და მათ გაჯანსაღებას. ამის მიღწევა შეიძლება სხვა და სხვა ფიზიკური ტანთვარჯიშობის საშუალებით. მცირე, თუ დიდი რიცხვი ჩვენი ბავშვებისა დღეს მოთავსებულია შრომის სკოლებში, სადაც მათთვის ფიზიკური ვარჯიშობა ისევეა საჭირო, როგორც ჰაერი, ვინაიდან მათი განუწყვეტლივ 4—5 საათი სკამზე ჯდომა, უმოძრავოთ, სათანადო კვალს ამჩნევს მის სხეულის კონსტრუქციაზე, განვითარებაზე (გულმკერდის გამოუდება) სკოლის გარეშე მყოფნიც ხომ სულ უარეს მდგომარეობაში იმყოფებიან ვინაიდან ისინი, ფიზიკურათ განუვითარებლობასთან ერთად, მოკლებულნი არიან სულიერ საზრდოსაც.

წინეთ არსებობდა, სხვა ერების სასპორტო ორგანიზაციებთან ერთად, აგრეთვე ებრაული სასპორტო წრეები „მაკაბეელის" სახელწოდებით ყოფილ რუსეთის იმპერიის თითქმის ყველა ადგილებში, სადაც კი ებრაელობა სახლობდა, მათ შორის საქართველოშიდაც, და სადაც ჩვენ შეგვეძლო ჩვენი ბავშვების ფიზიკურად განვითარებაზე გვეზრუნვა. ეხლა კი, ვინაიდან ყველა ეროვნებათა სასპორტო წრეები გაუქმებულია და მათ ნაცვლად არსებობს ერთი მთლიანი სახელმწიფოებრივი სასპორტო ორგანიზაცია „სპარტაკი", და თანაც უმეტეს შრომის [illegible] ლების უქონლობის გამო (აგრეთვე [illegible] 102 [illegible]), ტანთვარჯიშობაზე სრულებით ვერ ზრუნავენ, ამიტომ ჩვენ, დროებით მაინც, ახალი გზების გამონახვამდე, უნდა ვეცადოთ მოვათავსოთ ჩვენი ბავშვების (როგორც სკოლაში, ისე მის გარეშე მყოფნი) საგრძნობი რიცხვი „სპარტაკის" წრეებში, ან და, თუ ეს მოუხერხებელი იქნება ჩვენი სპეციფიური თავისებურობების გამო, მაშინ პირდაპირ შევეცადოთ ასეთი წრეების ჩვენს შორის დაარსებას.

ამის გარდა, სადაც ებრაელობა მჭიდროთ სცხოვრობს და მრავალრიცხოვანია, უნდა მოეწყოს, ქუთაისის მსგავსად, ებრაელთათვის სპეციალური ამბულატორიები (თბილისი, ცხინვალი, ფოთი და სხვ.), სადაც შეიძლება წარმოებულ იქნას დაკვირვებანი ჩვენი პათოლოგიის შესახებ, შესწავლილ იქნეს ჩვენში გავრცელებული ავადმყოფობანი და მათი გამომწვევი მიზეზები და, შეძლებისა და გვარად, შეიძლება ბრძოლაც იქნეს წარმოებული, როგორც აქიმობის, აგრეთვე სასანიტარო - საგანმანათლებლო ლექციების სისტემატიური წაკითხვის სახით საზოგადოების წინაშე. პარალელურად უნდა იქნეს წარმოებული სასტიკი ბრძოლა შინაურ აქიმობასთან, რომელსაც ჩვენში ძლიერ აქვს ფეხი მოკიდებული.

ამისათვის ჩვენ გვესაჭიროება, როგორც მთავრობის სათანადო ორგანოების უშუალო დახმარება, ისე მთელი ჩვენი საზოგადოების მატერიალური და მორალური თანაგრძნობა. ერთი უმეორესოდ ვერაფერს გახდება. ჯერ-ჯერობით ეს ზომებია საჭირო ხსენებულ მიზნის განსახორციელებლად. თუ ამის ცხოვრებაში გატარება შევძელით, მაშინ დანარჩენი, უკეთესი, ზომები თავისთავად გამოჩნდებიან ერთი მეორესთან დაკავშირებით და მიგვიყვანენ ჩვენ იმ სანიტარო მდგომარეობამდის, რომელშიდაც ებრაელობა იმყოფებოდა ბარ ქოხბა-მაკაბელების ხანაში.

სტ. მედ. მ. თავდიდიშვილი.

## საქართველოს ებრაელთა ეკონომიურათ ჩამოქვეითება და მისი მიზეზები

(წერილი პირველი)

საქართველოში შედარებით მრავალრიცხოვანი ებრაელობა სცხოვრობს; მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საქართველოს ებრაელებს, რომლებიც მიმოფანტულნი ამიერ-იმიერეთში და ეწევიან უმთავრესად ვაჭრობას, იშვიათად ხელოსნობას და არსად მიწევლობას ან სხვა რამ ხელობას. საერთაშორისო ომამდე და ომის ხანაში (1914-17) საქ. ებრ. ეკონომიური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი იყო: შედარებით სხვა მოსახლეობასთან. არამც თუ უზრუნველჰყოფდა მის მცირე მოთხოვნილებებს ცხოვრებისადმი, არამედ თვალსაჩინო ადგილი ეკავათ მათი სიმდიდრით, ვაჭრობაში დაწინაურებით ისეთ დიდ ქალაქებშიდაც როგორც: ქუთაისი და ფოთი, პროვინციებიდან კი ცხინვალში, ონში, სა-

## მოხუცი

(სურათი საქართველოს ებრაელთა ცხოვრებიდან)

„პაპა—ისხაკი"—ასე ეძახოდნენ მას ყველა—ერთი მოხუცი ებრაელი იყო, სოფელში მოვაჭრე, რომელსაც თავისი სიცოცხლე სულ წოწიალსა და ლუკმა პურის ძიებაში გაეტარებინა, და ამნაირ ცხოვრებას კიდეც დაემჩნია მისთვის თავისი კვალი. იგი საკმაოდ იყო წელში მოხრილი და სახეც საკმაოდ ჰქონდა მონაოჭებული. მაგრამ მისი მაღალი ტანი, ისევ ბრწყინვალე და გამჭრიახობის გამომეტყველი თვალები, დიდი თეთრი წვერი, პატრიარქალურ იერს სდებდა მას, და ყველას დიდ პატივცემას უძრავდნენ მისადმი. მისი მჭექარე ხმა და ვაჟკაცური გამომეტყველება სახისა მოწმობდნენ, რომ ახალგაზრდობისას ეს მეტად კარგი შეხედულობისა და ჯან-ღონის კაცი უნდა ყოფილიყო, მაგრამ წვრილ-შვილობას, ცხოვრების მაგარი ნიადაგის უქონლობას, სილარიბეს და მუდამ ლუკმა პურისათვის აუტანელ შრომა-წოწიალს უკვე თავისი ექმნა და საკმაო ღრმა დაღი დაესვა მისთვის. იქნება ხნით ის არც ისე მოხუცი იყო, მაგრამ სიბერეს საკმაოდ მოეღუნა წელში და კლანჭები მაგრა ჩაებლაუჭებინა.

იგი მეტად ღარიბი იყო. მის ოჯახს მუშა ხელი მის მეტი არავინ ჰყავდა და ოჯახის—(ცოლი, სამი ქალი და ერთი ვაჟი) რჩენა მაზედ იყო დამოკიდებული. მის დიდ ბედნიერებას ის შეადგენდა, რომ თავისი ჭერი ჰქონდა. ეს იყო მამა-პაპური ძველი მუხის შენობა, ორ სართულიანი, რომლის თვითეული სართული შესდგებოდა თითო პატარა ოთახიდან წინ პატარა აივნით. მოხუც ისხაკს ისე უყვარდა ეს თავისი ძველი მამა-პაპეული პატარა ბუდე, რომ იქნებ თვით სასახლეზედაც კი არ გაეცვალა. ზევით სართულის ოთახში თვითონ იყვნენ მოთავსებულნი და ქვემოდ სართულს კი მარნად ხმარობდნენ.

არც დიდი რამ ავეჯი ებადათ. სახლის მოწყობილობა სულ სადა იყო და მარტივი: ნახევარი ოთახი ფიცრის ტახტას ეკავა, რომელიც დაფენილი იყო ძველი გამცვდარი ფარდაგით. ტახტის ბოლოში ძირიდან ჭერამდე აკრული იყო ცალი განიერი ფიცარი, რომელიც კედლებთან ერთად წარმოადგენდა განჯინას, სადა ელაგა ლოგინი და სხვა რამ წვრილი ნივთები, და რომელზედაც ჩამოფარებული იყო ჭრელი ჩითის ფარდა. პატარა ოთხკუთხი მაგიდა კედელთან მიმდგარი, ორიოდე ხის სკამი, რამდენიმე ქვაბი, რომელიც ტახტ ქვეშ ეწყო ხოლმე, წყლის დოქები, ცული და სხვა ასეთი სახლის წვრილმანი ავეჯეულობა. კედლებზე რუსული ჟურნალის ფურცლები ზედ ნახატებით, პატარა ქალების ხელით ნაკეთები ფერადი ქაღალდის ყვავილები და ზიზილაები

სხვა მეტ წილ საქართველოს ებრაელებსავით ისხაკი იმ თავითვე სოფელში მოსიარულე ებრაელი იყო. მხოლოდ საქმე იმაში იყო, რომ აი სწორედ ამ სოფელში სიარულისათვისაც მას დიდი რამ საშუალება არ მოეპოებოდა. როგორც ღარიბ, უთანხო კაცს, მხოლოდ ნავთი დაქონდა და სხვა იაფი წვრილმანეულობა, რომელიც ვინ იცის სულ ერთიანად არ აღემატებოდა სამ-ოთხ თუმანს და ისიც ნისიად. მაგრამ, მიუხედავად ასეთ უსაშუალებისა და გაჭირვებისა, ოჯახი მაინც ბედნიერად გრძნობდა თავს. ბედნიერი იყო მით, რომ მოთხოვნილება ცოტა ჰქონდათ ცხოვრებაზე, კმაყოფილნი იყვნენ ბედისა და ლუკმა პურისათვისაც ათასჯერ მადლობას სწირავდნენ უფალს.

მხოლოდ ამ ოჯახს ისხაკის გარდა ერთი არსება კიდევ ჰყავდა, რომელიც ზრუნავდა და თანამშრომლობდა მისთვის მოხუც ისხაკთან ერთად. ეს იყო ისხაკის წითელი ცხენი, რომელსაც შუბლზედ თეთრი ხალი ქონდა და რის გამოც ნიშას ეძახდნენ. ეს ცხენი იყო მოხუცის მუდმივი თანამგზავრი, ცოცხალი მოწმე და მოზიარე მის წოწიალში ლუკმა პურისათვის. მხოლოდ ეს უნდა ვსთქვათ, რომ ისხაკის ცხენი და ოჯახი სრულ წინააღმდეგობას წარმოადგენდნენ: როდესაც მისი ოჯახის წევრნი ასე გამხდარნი და სუსტნი იყვნენ, წინააღმდეგ, მოხუცი ისხაკის ცხენი კი ნამდვილი ბედაური იყო. ეტყობოდა ამ მოხუცის ოჯახს კარგად შეეგნო ამ ცხოველის მნიშვნელობა და თანამშრომლობა მოხუცის შრომაში და თავიანთ თავზედ მეტად ეზრუნვად მისთვის და მართლაც, რომ ვსთქვად რას წარმოადგენდა მოხუცი ისხაკი უცხენოდ? ის ხშირად დაიჩივლებდა ხოლმე:

— „დავბერდი, გავტყდი, მუხლი აღარ მომდევს და წელი, ამ სიბერის დროს ეს ცხენიც რომ არ შემომრჩენოდა რა მეშველებოდა, სული ამომხვდებოდა. აბა ამხელა კაცს ფეხით სიარულისა და ზურგით ტვირთის ზიდვის თავი სადა მაქვს"-ო.

ოჯახის წევრნი ნიშას ისე უყურებდნენ, როგორც მარჩენალს, გზაში ერთი მუჭა ბალახი, რომ ენახათ, სადმე ფუჩეჩი, მაშინვე წაიღებდნენ და შეუნახავდნენ „ეს ჩვენ ნიშასაო".

პაპა ისხაკი ახლო მახლო სოფლებში დაიარებოდა, კვირაში ორჯერ-სამჯერ ბრუნდებოდა სახლში საწვრიმალოსა და ნავთის წასაღებად და იქიდან დაბრუნებისას მოიტანდა ტომრებით ბზეს, ქერს, ლობიოს ხანდახან ქათმებსაც კი, რომელსაც მეტ წილს გაყიდდა, რომ მოვალეებთან პირ-ნათლად გამოსულიყო, ცოტას კი სახლში მოიხმარებდნენ. ბედით კმაყოფილი იყო, არ უყვარდა ჩივილი და ამასთანავე ამაყიც იყო. რაც უნდა გაჭირვება სდგომოდა თვითვე სცდილობდა საკუთარი ძალ-ღონით გადაეტანა და სხვა არ „ჩაეხედებინა ზურგში". სოფელში პატივს სცემდნენ გლეხები, „ჩვენ ისაკას" ეძახდნენ და დიდად ენდობოდნენ. სარწყაო მართალი ქონდა, მოტყუება და ტყუილი ფიცი ეზიზღებოდა, მამა-შვილურად ეპყრობოდა ყველას ებრაელსაც და არა ებრაელსაც და ხშირად ეკერა ხოლმე პირზედ: „თუ ღმერთს უნდა სიალალმართლითაც მისცემს კაცს ერთ ლუკმა პურსო".

დაკონკილ ტანისამოსში გამოხვეული, წვერი გაბურძგვნილი, სახე ნაღვლიანი და წელში მოკაკული—ასე იყო მთელი ექვსი დღის განმავლობაში, მაგრამ სულ სხვა იყო შაბათ დღეს მოატანდა თუ არა პარასკევი ამ დღეს ჩვეულებაზე ადრე დაბრუნდებოდა სოფლიდან. მოსვლისთანავე, როგორც ახალგაზრდა ისე დატრიალდებოდა ოჯახში, შინაურ საქმეების მოსაწესრიგებლად და უქმე დღის პატივით შესახვედრად: დასჭრიდა შეშას, ამოიტანდა წყალს, შემდეგ წაიყვანდა თავის ცხენს მახლობელ მდინარეზე გასაბანებლად თითქოს მასაც უნდა აგრძნობინოს, რომ შენთვისაც უქმეა როგორც ჩემთვისაო და მთელი კვირა ნაშრომს და ნაჯაფავარს არ გიხამს გამტვერილი შეხვდე უქმე დღესაო. მდინარიდან დაბრუნებული, ზურგზედ გადააგდებდა ცხენს თოკს და გამოიგდებდა წინ და ამნაირად ორივენი დიდის სიდინჯით მოაბიჯებდენ თავიანთ სახლისაკენ და ცხენიც როგორც პატრონი თითქოს გრძნობდა, რომ მოვრჩი მთელი კვირის წოწიალს და დგება დასვენების ჟამიო.

აგერ დადგა შაბათიც და მოხუც ისხაკშიც თითქოს სასწაული მოხდაო.

როდესაც გამოვიდოდა და გაემართებოდა სალოცავისკენ პირდაბანილი დიდი წვერი ახლა სრულიად აღარ ჰქონდა გაბურძგვნული და აქა იქა ბზეები მასში, არამედ სუფთად და კარგად დავარცხნილი, საშაბათო ჩოხით თუმცა სიძველისაგან გაბრუნებული მაგრამ სუფთა, წელზედ სარტყელით და იღლიაში ლოცვანით, გეგონებოდათ, რომ რაღაც ჯადოსნური ძალით სხვა ადამიანათ გარდაქმნილაო, თ თქო ეხლა ისე მოხრილი აღარ იყო წელში, სახეც უბრწყინავდა და ზრუნვა დარდისაგან თითქოს განთავისუფლებულიყო. ოჯახს ხომ ველარ იცნობდით! მეტად მშვენიერი სანახავი იყო ამ ღამეს ღარიბი, მაგრამ თავისი ბედით კმაყოფილი ოჯახი. როდესაც ისხაკი სალოცავიდან სახლში დაბრუნდებოდა, სახლი დღეს ერთი ორად გახათებული, ყველაფერი გაწმენდილი—გაწკრიალებული და მოვლილი, სუფრაც გაშლილი და ზედ შაბათის სანთლები ანთებული. ისხაკის მეუღლე ხანაც სანთლების წინ იდგა და ავედრებდა ღმერთს თავის ქმარ შვილს სასოებით. რანაირად მიეგებებოდნენ ყველა ოჯახის წევრნი, რა მოკრძალებით და პატივისცემით ეამბორებოდნენ ხელზე! იმ დროს რომ დაგენახათ ასე იტყოდით, ეს მოხუცი ღარიბი ისხაკი კი არა ნამდვილი მეფეა ბედნიერიო.

შაბათ დღე უბრალოდ არ გამოვიდოდა გარეთ. თუ არ სალოცავში უბრალოდ არსად წავიდოდა, არამედ სადილს შემდეგ ზაფხულობით გაიშლიდა თავის სახლის პატარა აივანზე ფარდაგს, მიიგდებდა თავით მუთაქას ცოტას მიიძინებდა ამ დღეს საპატივცემოდ, შემდეგ გამოიღვიძებდა, გაიკეთებდა სათვალეებს მძიმედ, აუჩქარებლივ და დაიწყებდა ფსალმუნის (თეჰილიმის) ანუ სხვა საღვთო წერილის კითხვას, ან მოისვამდა გვერდით თავის ვაჟს, რომელიც მიდრაშში*) სწავლობდა და გამოკითხავდა თუ რა ესწავლა მასწავლებელთან მთელი კვირის განმავლობაში. მოხუცი ისხაკი უვიცი კაცი არ იყო. შეძლებისდაგვარად ესმოდა აზრი თორისა და სხვა ებრაული საღვთო წერილებისა: ხშირად შაბათობით გარშემო შემომსხდარ მეზობლებს უკითხავდა ხოლმე თორიდან და უხსნიდა ქართულად, რომელსაც დიდის პატივისცემით და ყურადღებით უსმენდნენ ხოლმე.

ამნაირად ლევდა მოხუცი ისხაკი თავის უკანასკნელ დღეებს ტკბილად და მორჩილად ბედს თუმცა დაეჩაგრა და ცხოვრების დაბალ საფეხურზედ მიექცია, მაგრამ მას დაციივით შეეხედა თვალებში ცხოვრებისათვას, თავისი ბედნიერება თვითვე გამოიჭედა და პატრიარქალური სიდინჯით და მორჩილებით ატარებდა თავის ცხოვრებას

მაგრამ ტყუილად არ არის ნათქვამი: „საწყალი კაცის საუბედუროთ ეშმაკს არა სძინავსო" და „უბედურ კაცს ქვა აღმართში მიეწევაო". საწყალი კაცის წასაქცევად არ არის საჭირო დიადი მოვლენები, მისი ქოხის დასანგრევად არ არის საჭირო დიდი ქარიშხალი, არამედ სულ უბრალო შემთხვევასაც დიდი გავლენა აქვს მის მდგომარეობაზე და სრულიად უბრალო ნიავმაც კი შეიძლება მთლად ძირ-ფესვიანად შეარყიოს მისი ისედაც უნიადაგო და მერყევი ქოხი. ასეთი, ერთი შეხედვით უბრალო, მაგრამ მოხუც ისხაკისათვის კი დიდათ მნიშვნელოვანი უბედურება ეწვია მას სიბერის დროს. დაუნდობელ ადამიანებმა მაინც დაურღვიეს მშვიდი ცხოვრება.

*) მიდრაში—ებრაული სახალხო სასულიერო სასწავლებელი.

ჩხერეში და სხვ. ვაჭრობაში მათ მიერ დაკავებულ ადგილის გამო ისეთი შეხედულებაც კი არსებობდა, რომ, თითქოს, ყოველი ებრაელი უსათუოდ მდიდარი და შეძლებული უნდა ყოფილიყო.

რას ვხედავთ დღეს ომის და რევოლიუციის შემდგომ საქართველოს ებრაელთა შორის?

**სრულ ეკონომიურ სიკოტრეს, ებრაელის გაღატაკებას და ფინანსიურათ ჩამოქვეითებას!**

გადახედეთ ოდესღაც ბრწყინვალე ქუთაისს, გადახედეთ პროვინციის ებრაელობას—ონს, საჩხერეს, კულაშს, ცხინვალს, სურამს, და თქვენ წინ გადიშლება საშინელი სურათი, თქვენ განცვიფრებას საზღვარი არ ექნება. უნებლიეთ საკითხი იბადება, **თუ რა იყო მიზეზი საქართველოს ებრაელობის ეკონომიურათ ასეთი განადგურებისა და მიწასთან გასწორებისა?**—მასთან ერთად სასოწარკვეთილებას ჰბადებს საქ. ებრაელთა უმწეო მდგომარეობა:

რაშია საქმე, რა მოხდა ისეთი მოულოდნელი, რომ დაანგრია და შესცვალა ებრაელის ქუჩის სახე?

—მოხდა ის რაც უნდა მომხდარიყო დღეს ან ხვალ, რის მოლოდინშიდაც უნდა ყოფილიყო საქ. ებრაელობა რომ მეტ კულტურულ დონეზე მდგარიყო იგი.

მეფური რუსეთის დროს ისეთი რეჟიმი გამეფდა საქართველოში, რომელაც მეფის დამქაშების მიერ ხელოვნურად იხრწნებოდა ქართველი ხალხი.

მათში გაბატონეს „ჩინოვნიკობა" და „ჩინოვნიკური" სული მისი მრავალი უარყოფითი თვისებებით; ამიტომ ქართველები ნაკლებად მისდევდენ ვაჭრობას, არც მაინც და მაინც მრეწველობაში იყვნენ დაწინაურებული; „ბაზარი" თავისუფალი იყო და ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ ვაჭრობა-მრეწველობა საქართველოში სომხებისა და ებრაელების ხელში გადავიდა. სომხები, როგორც უფრო განვითარებული და ნასწავლი ხალხი ვაჭრობისა გარდა მრეწველობას და ხელოსნობასაც მისდევდენ, ებრაელები უსწავლელები და განუვითარებლები მხოლოთ ვაჭრობას ეტანებოდენ და ამ დარგში კარგადაც დაწინაურდენ.

მაგრამ მარტო ეს არ იყო მიზეზის ებრაელებში ვაჭრუკან-ჩარჩული სულის გაბატონებისა. ბრალი იგივე მეფური რეჟიმს ედება, რომელიც სასტიკ სიძიშვით სდევნიდა ებრაელი ერის შვილთ რუსეთში და უაღრესათ შეავიწროვა მისი ცხოვრება საშვალებათა მთელი რიგით; როგორც, ყველასთვის ცნობილი, „ბინადრობი საზღვარი", „პროცენტული ნორმა" „თავისუფალ პროფესიათა შეზღუდვა" სხვა მრავალი ასეთები. საქართველოს ებრაელების მიერ მიწის დამუშავებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია!

ასე და ამნაირათ ებრაელებისთვის მეტი არაფერი დარჩენილიყო ცხოვრების უზრუნველ საყოფად, და ლუკმა პურისათვის იძულებული იყვნენ მიემართათ ვაჭრობისათვის; ამ დარგში კი იგინი დახელოვნდენ, ეკონომიურათ გაჯანსაღდენ და ზოგელე შეხედულებით მკვიდრი ნიადაგიც მოიპოვეს საქართველოს სხვა და სხვა ნაწილებში.

ამ დროს საერთაშორისო ომმაც იგრიალა, მას თან მოყვა რევოლიუცია რუსეთში და ხალხების განთავისუფლება ფიზიკურ, ფსიქიკურ და პოლიტიკურ მონობისაგან. მათ შორის ქართვ. ერსაც ეღირსა ნანატრი თავისუფლება და დამოუკიდებელი არსებობა, მას მიეცა საშვალება ეროვნული ცხოვრების განვითარებისა.

საქართველოში, როგორც ყოფილ რუსეთის სხვა მრავალ კუთხეში, პოლიტიკურ მონობიდან განთავისუფლებას მოყვა ერის სულიერად აღორძინება. ქართ. ხალხი განთავისუფლდა „ჩინოვნიკურ" ფსიხოზიდან და მოკიდა ხელი ცხოვრების მიერ შექმნილ არსებობისათვის ყოველივე დარგს ქვეყნის ასაღორძინებლათ და გასაჯანსაღებლათ. სხვათა შორის მათ შეიგნეს ისიც, რომ ეროვნული თვითარსებობისათვის საჭიროა აგრეთვე ეროვნული ეკონომიკაც. ამნაირათ დაიბადა მათში მისწრაფება ვაჭრობისა და მრეწველობისადმი.

ასე რომ, საქართველოს ებრაელებს ქართლ-კახეთში, სომხებისა გარდა, და იმერეთში, სადაც მას თითქმის არავინ არ გიჩნდა მეტოქე, ებრაელს გვერდით, ამოუდგა შედარებით მეტი ნასწავლი და გაკულტურებული კონკურენტი, ბატონი ქვეყნისა ქართველი ხალხი.

ამას მოყვა უფრო მეტი საშინელი კონკურენტი—**კოოპერატივები** ქალაქად და სოფლად.

და შედეგად ყოველივე ამისა ჩვენ ვხედავთ საქართ. ებრაელის „ბაზრიდან" განდევნას, როგორც ვაჭრისა და სოფლისა და ქალაქ შორის შუამავალისა; აჰის შედეგი იყო ეკონომიურ თ ჩამოქვეითება და სიღატაკე თითქმის 95 პროც. ებრაელის მოსახლეობისა საქართველოში. ვალიუტის ორომტრიალმა ბოლო ხანებში ხომ მიწასთან გაასწორა უსწავლელი და გაუნათლებელი ებრაელი ვაჭარი. დაუმატოთ ის, რომ მრეწველობაშიდ მათ არ გააჩნდათ დახელოვნებული პირნი, თავისუფალ პროფესიათა დარგში სრული არარაობა, უსწავლელობა და უკულტურობა—ჩვენთვის გასაგები იქნება ის მრავალ მნიშვნელოვანი მიზეზები, რომლებმაც წარმოშვეს დღევანდელი საქ. ებრაელს ეკონომიურად და ფინანსიურათ განადგურება.

ი. მო—ლი.

* * *

ბევრჯერ ვიხილე ბნელ ღამეებში
შენ მაღალ შუბლზედ ეკლის დაღები,
ირგვლივ შხამიან გველთა სისინი,
აუტო-და-ფე განაჩალები.

ბევრჯერ გიხილე სისხლის მორევში,
გმირული სულით გზას მიიკვლევდი,
და არ იხრიდი შენ ამაყ ქედსა,
თუმც შხამით სავსე თასს ბევრსა ლევდი.

გულს გიღვივოდა ცეცხლი ციური,
ზე-მიზნებისთვის მარად იღწვოდი,
ცეცხლის ენები თუმც გარს გეხვია,
შენ არ იწვოდი, შენ არ იწვოდი.

აღმოსავლეთით მიგეპყრა თვალი,
შვების სხივებსა იქით ელოდი,
ეძიებოდი მარად ახალ გზებს,
გზას ვერ გიხშობდა მტრის ქვა და ლოდი.

და როს განვსჭვრიტე შენი წარსული:
ვნახე მძლე სული განუკვეთავი,
მოველ შენ წინა, ერო მარადო,
და მოკრძალებით დავხარე თავი!

ნ. ელიაშვილი.

ტფილისი.
10 თებერვალი 1924 წ.

# საქართველოს ებრაელობა და ღარიბთა დახმარების საქმე

ყველასათვის ცხადია, რომ საქართველოს ებრაელობა საშინლად ჩამორჩენილია თავის თანამოძმეებიდან მსოფლიოში.

ვინც ებრაელის ერს იცნობს იგი როცა დაუკვირდება საქართველოს ებრაელობას შედარებას ვერ მონახავს, მაგრამ არის ერთი საერთო ხაზი; დიდი მსგავსება იშლება აქ. ფიზიონომია ებრაელის ერისა აქ შეერთებულია. არც ერთ ერს არ ახასიათებს ღარიბთა შებრალება და მათი უხვად დახმარება, როგორც ჩვენ ერს. ღარიბთა დახმარება ებრაელებს ისე აქვთ შესისხლხორცებული, რომ ხშირად თავისი ნატეხი პურიდანაც კი ღარიბს უნაწილებს. ებრაელს ვერ წარმოუდგენია შაბათი ან სხვა დღესასწაული, თუ ღარიბის ოჯახი არ არის უზრუნველყოფილი ამ დღისთვის.

ობლების გაზრდა, ქვრივთა პატრონობა, უპატრონო ქალიშვილების და ვაჟების დასახლება, ღარიბ მიცვალებულთა ღირსეულად დაკრძალვა, ყოველივე ეს და მრავალი სხვა ასეთი ებრაელს მიაჩნია თავის ვალად.

ამ მხრივ ებრაელთა ფსიხოლოგია ასეთი იყო წინედ, არის დღეს და ასეთი იქნება მომავალშიც. ამ ურთიერთ დახმარებით აუარებელი უპატრონო გადაურჩენიათ უბედურებისაგან და გაუბედნიერებიათ.

რამდენი ასი ათასობით უმანკო მსხვერპლი დაიღუპა პოლონეთ-ლიტოვეთში ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის დროს? აი სწორედ ამ დროს ვინ იანგარიშებს რუსეთის ებრაელთა იმ აუარებელ დახმარებას, რომელიც მოაწყეს მათ, და ჩამოაყალიბეს თავიანთი ძმებისათვის ორგანიზაციულად და სისტემატიურად? დენიკინის დროს გახრებულ სამ მილიონ ებრაელობას ვინ დასდო მალამო თუ არა იგივე ებრაელობამ?

აი ასეთ ღარიბთა დახმარებაში არც საქართველოს ებრაელობა ჩამოუვარდება თავის სხვა თანამოძმეთ. განა შაბათობით ლოცვა ისე ილოცება, რომ 5-6 თავის ღარიბს ფული არ შესწირონ? არც მდიდარი და არც ღარიბი უარს არ ამბობს არასოდეს როდესაც ხდება ღარიბთათვის შეწირულებანი. ღარიბთა დახმარება—ეს არის ებრაელთა ინსტინქტი, მათი დამახასიათებელი თვისება, მათი ფსიქოლოგიური კუთვნილება, რომელიც ამშვენებს საქ. ებრაელობასაც.

მაგრამ უნდა ითქვას სიმართლე, რომ ასეთ უხვ და დაუფიქრებელ შეწირულებებს ზიანიც მოჰყვა ჩვენში: 1) გაუადვილა ყველა იმათ, ვისაც შრომის უნარი შესწევდა, ხელის გაშლა და მათხოვრობა და 2) მორცხვ ღარიბებს კი სათანადო ანგარიში ვეღარ გაეწია. დღემდის ასეთი მეთოდი, შაბათობით ფულის შეწირვა—შეიძლება მისაღები იყო, რადგანაც მიმცემი ბევრი იყო, ამღები კი—ცოტა—მაგრამ დღეს, როდესაც ძირიანად შეიცვალა თითქმის ჩვენი ხალხის სოციალურ ეკონომიური პირობები—დღეს ეს ყოვლად მიუღებელია.

პროვინციის ებრაელობა ეკონომიურად მიწასთან გასწორდა, გაღარიბდა და დაღატაკდა. ცხადია, შემწირველი და დამხმარე ცოტაა, ამღები ბევრი, და თუ მამტყუებლებს, უნარიანებს მიეცათ ჩვენი საწყალი ხალხის შეწირული კაპეიკები, მაშინ ყოვლად უუნაროები და უპატრონოები საშინელ მდგომარეობაში ჩავარდებიან. ამიტომ საჭიროა, რომ ამ დიდ სერიოზულ საქმეს მიექცეს სათანადო ყურადღება და მოეწყოს დახმარება ორგანიზაციულად, როგორც ამას შვებიან ჩვენი მოძმენი ყველგან.

გარდა ამისა, უნდა ვიცოდეთ, რომ ჩვენი ძალით ვერ მოვერევით საქართველოს ებრაელ ღარიბთა დახმარების საკითხს, ვინაიდან დიდი თანხაა ამისათვის საჭირო. ჩვენ დაგვჭირდება მიმართვა საზღვარგარეთ იმ ებრაელთა დამხმარე კომიტეტებისთვის, რომლებიც მუშაობენ რუსეთში საბჭოთა მთავრობის ნებართვით. ისინი კი ჩვენ არავითარ დახმარებას არ მოგვცემენ, თუ არ ვიქნებით ორგანიზაციულად ჩამოყალიბებულნი. ასეთი ორგანიზაციის მოსაწყობად კი საჭიროა მთავრობის ნებართვა.

საბედნიეროდ, ამ ერთი წლის მუშაობამ უნაყოფოდ არ ჩაიარა და ჩვენ უკვე შევძელით მთავრობის დაინტერესება ამ საკითხით და იმედი გვაქვს ამ მოკლე ხანში წესდება საქართველოს ებრაელ ღარიბთა დამხმარე კომიტეტისა, დამტკიცებულ იქნება*).

მიზანი მისი ყოვლად სიმპატიურია და იგი არის ერთად ერთი საშუალება, რომ ჩვენ ხალხს ავაცდინოთ თავიდან უბედურება. წესდების ძალით ცენტრი იქნება ერთგან—განყოფილებები კი ყველგან, სადაც ცხოვრობენ ებრაელები საქართველოში. დეტალურად წესდებას და მის მიზნებს ალბად შემდეგ ნომერში კვლავ დაუბრუნდებით რათა უფრო ფართოდ გაუშუქოთ ჩვენ მკითხველებს საკითხი.

ჩვენ განზრახვა გვაქვს, დამტკიცების შემდეგ, წესდება დავბეჭდოთ პატარა წიგნაკებათ, რომ [illegible] პროვინციაში, რათა [illegible] დაწვრილებით [illegible] კომიტეტს [illegible].

მე კი გამოვთქვამ იმედს, რომ ყველგან მოიპოვებიან ისეთი პირები, რომლებიც მიიღებენ თავიანთ თავზე და აზოგადოებებს გააცნობენ ამ დიად საქმეს.

დასასრულ სასიხარულოა ის მოვლენა, რომ დღეს ჩვენ უკვე გვაქვს ჩვენი საკუთარი ორგანო, სადაც ყველას შეუძლია გამოსთქვას თავისი აზრი ამ საკითხის შესახებ. ამიტომ მე მივმართავ ჩემ ძვირფას თანამოძმეთ, ვინც დაინტერესებულნი არიან ამ ფრიად სიმპატიური საკითხით, მოგვაწოდონ მალე თავიანთი შეხედულებანი და აზრები ამის შესახებ, რასაც ჩვენ მივიღებთ დიდის სიამოვნებითა და სიხარულით.

დავიდ ბააზოვი

*) დამხმარე კომიტეტის წესდება წარდგენილია შინაგან საქმეთა კომისარიატში.

# „რიტუალის" ლეგენდის გამო

(„ყალილათ დამ")

დღეს ჩვენი გაზეთის ფურცლებზე იბეჭდება აღმაშფოთებელი ცნობა იმ „რიტუალის" საქმის შესახებ, რომელსაც ამ უკანასკნელ ხანებში ადგილი აქვს ქ. ტფილისში როცა ამ საგნის შესახებ ვიწყებ წერილის წერას, უნებურად მაგონდება ლეონიდ ანდრეევის სიტყვები: **„საშინელებაა იმ სჯელო და უმტკიცო ვიღაც ურწმუნოს, რომ ორჯელ ორი ოთხია.. ოთხი!"**

ჩემს მიზანს სრულებით არ შეადგენს, ვისმე ვუმტკიცო, რომ „ორჯელ ორი ოთხია"—პირიქით რამოდენიმე ხანს მინდა დაუშვა $2\times2=5$ ან $2\times2=3$ ნახევარს.

ლეგენდა „რიტუალის" შესახებ არ არის ახალი. მას ფესვები ღრმადა აქვს გადგმული საშუალო საუკუნოებში. ფეოდალურ—სქოლასტიურ იდეების ზეგავლენის ქვეშ „რიტუალის" ლეგენდა ყოველთვის ჰპოულობდა სათანადო გამოძახილს ბნელ მასაში და უვიც ბრბოში.

საუკუნე საუკუნეს მისდევდა, ცივილიზაციაც ჩქარის ტემპით ვითარდებოდა, ველურ ხალხის ადგილებზე გამოჩნდენ კულტოროსანი ადამიანები,—მაგრამ ყველა ეს ცვლილებები თითქოს უჩინარი ხდებოდა, როცა საკითხი მიდგებოდა ამ წყეული „რიტუალის" გარშემო.

ვის არ ახსოვს, მეოცე საუკუნეში რუსეთის თვითმპყრობელობის უკანასკნელ ჟამს ქ. კიევში გამართული საშინელი პროცესი ბეილისისა, რომელმაც შეარყია და შეაზანზარა მთელი მსოფლიო?

რუსეთის ძველი ბატონები, შავრაზმელი პურიშკევიჩები კაციჭამიობით გამოკვებილნი—ანთებდენ და ღვივებდენ ეჭვის ლამპარს შეუგნებელთა ძვალსა და რბილში, რომ ასეთი საქმის გმირები ებრაელები არიან და აკი ამიტომაც ბეილისის სახით ბრალდებულის სკამზე დააჯდინეს მთელი მსოფლიოს ებრაელობა!

გადაბარგდენ თვითმპყრობელები თავიანთი შავრაზმული იდეებით ხალხმა აიღო თავისი სადავე ხელში და განმტკიცდა საბჭოთა ხელისუფლება.

მაგრამ როდი სძინავთ საბჭოთა ხელისუფლების მტრებს. შავი ყორნები მიმოფანტულნი აქა-იქ, რომელთაც სურთ სახელი გაუტეხონ მთავრობას, გველებივით სისინებენ და ავრცელებენ ათასნაირ პროვოკაციულ და დრო მოჭმულ ხმებს. ჭორები „რიტუალის" შესახებ მეხუთედ მეორდება ქ. ტფილისში; თავის დროს გაზეთებში მილიციის უფროსის განცხადებაც იყო მოთავსებული, რომელიც ემუქრებოდა სასტიკად ასეთ ბნელ პროვაკატორებს.

მაგრამ ის ფაქტი, რომელიც დღეს მოხდა ჩვენ თვალ წინ—მოითხოვს ჩვენგან მეტ დაკვირვებას და სერიოზულობას. **ერთხელ და სამუდამოდ დღეს ან არასოდეს უნდა იქნეს გამონახული ისეთი ზომები, რომ საუკუნოდ აღმოფხვრილ იქნას ასეთი პროვოკაცია.**

მაგრამ საქმე ამით არ ამოიწურება. მოხდა შემდეგი ფაქტი:

5 თვის წინედ ვიღაც მოქალაქის დაკარგული ბავშვი უნახავთ მკვდარი ამ ბოლო ხანებში. ბავშის პატრონს შეაქვს სისხლის სამართლის მილიციის უფროსთან განცხადება, სადაც ის ხელს ადებს ებრაელებს, თითქოს მათ

სოფელში ხშირად მამასახლისი, ბოქაული და მათი ჩაფრები რაც შემთხვევა არ მომხდარიყო მაშინვე მცხოვრებლებს მიმართავდნენ ცხენებისათვის და მიყავდათ ბეგარაში. რა თქმა უნდა სრულიად უსასყიდლოდ. თუმცა სახელმწიფო ხაზინა საამისოდ განსაკუთრებულ ხარჯებს აძლევდა სამმართველოებს, მაგრამ თუ კი შეიძლებოდა ამ ფულის „ჩაჯიბვა" და საჭიროების დროს უსასყიდლოთ ცხენების შოვნა ადგილობრივ მცხოვრებლებისაგან, რატომ არ უნდა ესარგებლათ ამითი?! და რა თქმა უნდა ამ შემთხვევაში იბეგრებოდა უფრო სუსტი და დაბალი ღობე.

ეს იყო მიზეზი, რომ ერთ შაბათ დღეს შუადღე იქნებოდა გულგახეთქილი მოირბინა ისხაკის უფროსმა ქალმა და უამბო მამას, რომელიც ჩვეულებრივად აივანზედ იჯდა თორის კითხვაში:

— მამა, მამ ლო, ცხენებზე დადიან ჩაფრები, უეჭველად ჩვენ ცხენსაც წაიყვანენ, რაღა ვქნათ, გადავაფაროთ, დავმალოთ სადმე-ის.

მოხუცი ისხაკი შეშინებული წამოდგა, ჯერ პირველში მოეწონა თავისი ქალის რჩევა, მაგრამ გაიხედა და დაინახა—რა, რომ ჩაფრები უკვე მოახლოვებულიყვნენ დარწმუნდა, რომ გვიან-ღა იყო, ამიტომ ვაი თუ გამოყვანით და გაპარებით საქმე უფრო წახდესო, სხვა გზას დაუწყო ძებნა.

— მაშ რა უყოთ, მამა, უეჭველათ წაიყვანებენ, მერე როგორ მოკლავენ ხოლმე, როგორ უდიერათ ეპყრობიან, თითო წაყვანაზე ცოცხალ-მკვდარი ჩამოყავთ ხოლმე. კარგი, თუ არა მოდი დავკეტავ მარნის კარს და გასაღებს მე წავიღებ, კარი რომ ღია არ დახვდებათ გაბრუნდებიან.—ეს გულუბრყვილო რჩევა ქალისა ღა დარჩენოდა პაპა ისხაკს და ამ საშვალებასაც მიმართა.

— აბა შენი ცხენი გამოიყვანე, ჩქარა, ბოქაულს სჭირია, სადღაც სოფელში ყაჩაღი გაქცეულა და იქ მივდივართ შესაპყრობად, ჰა, ჩქარა...

ისხაკმა ჯერ დააპირა იმის თქმა, რომ ჩემი ცხენი აქ არა მყავს, სხვაგანაო, მაგრამ ვერ მოახერხა სიცრუე და გადასწყვიტა თავი შეებრალებინა.

— რა არის, თქვე დალოცვილებო, რომ სულ ჩემთან გამოშურებით ხოლმე. ამ მოხუც კაცს ეგ ერთი ცხოველი გამაჩნია, თითქმის მთელი ოჯახის მარჩენელი და ბეგარაში ხომ არ მოგიკლავთ, პატივი მეცით მამაშვილობას.

— ჰაა, ნუ გააბი, მოხუცო, ლაპარაკი—შეუყვირა ერთმა ჩაფარმა რიხიანი ხმით—ჩვენ ტყვიას გული უნდა შეუშვიროთ, ტყესა და ღრეში ყაჩაღებს ვდიოთ და შენ ცხენის ჯავრი გაქვს?!

— კი მაგრამ მარტო ხომ მე არა ვარ, რაღა მარტო მე მომაგენით.

— შენ თუ მაგას უყურე უთხრა პირველმა მეორე ამხანაგს—მიდი გამოიყვანე დროით.

— კარი დაკეტილია.

— მოიტათ გასაღები—დაუყვირა პირველმა ჩაფარმა.

— გასაღები არა გვაქვს აქ, ჩექალსა წაჰყვა იგი ეხლა აქ არ არის სხვაგანაა წასული. თავი დაანებეთ თუ ღმერთი გწამთ.

— მაშ გატეხე კლიტე და გამოიყვანე—უთხრა პირველმა ჩაფარმა თავის ამხანაგს

მეორე ჩაფარმა მოსდო თოფის ლულა კლიტეს გასატეხად. მოხუცი ისხაკი მიეტანა ხელში: „ნუ, ნუ იკისრებთ თუ ღმერთი გრწამთ, ღვთის გულისათვის", მაგრამ ჩაფარმა ისე მძლავრად ჰკრა მოხუცს ხელი, რომ წაბარბაცდა და ხელი იქვე ბოძისათვის რომ არ მოეტანებინა იმხელა კაცი ბავშვისათვის გაიშხლართებოდა, მხოლოდ სათვალეები კი, რომელიც კითხვის დროს ცხვირზედ ჰქონდა და ზედ შერჩენოდა, წავარდა და სულ ჩაიფშვნიტა.

ისხაკისთვის ეს კი მოულოდნელი იყო. ის სრულიად გაშრა და გაფითრდა. ისე გასტეხეს კლიტე და გამოიყვანეს ცხენი, რომ კრინტი აღარ დაუძრავს. ცხენი გამოიყვანეს და მეორე ჩაფარი მოახტა ზედ. ნიშამ თავისი ცხოველის მრგვალი, დიდრონი გონიერი თვალებით გადახედა პატრონს, თითქოს შეებრალა ასე ჩათუთქული რომ დაინახაო, ერთი მძლავრად შესჭიხვინა თითქოს, გამოესალმაო და გაყვა წამყვანებს.

მოხუცი ისხაკი კი ავიდა მუხლების კანკალით თავის პატარა აივანზე, მიჯდა კუთხეში დაღონებული და შეურაცხყოფილი, ხმაც აღარ ამოუღია, მხოლოდ ჩუმ ჩუმად კი რამდენიმე ცრემლმა იწყო მის მონაოჭებულ ღაწვებზე და, თეთრ წვერზედ სრბოლა.

* * *

გავიდა რამდენიმე დღე. ისხაკი სოფელში ვეღარ მიდიოდა, არც თავი ქონდა ფეხით სიარულისა და თავის საყვარელ ცხოველსაც დღე-დღეზედ ელოდა, მაგრამ იგი არ მოყავდით.

— „ადი, კაცო, მიაკითხე იმ ურჯულოებს ი ცხენი, ღმერთი არ გაგვიწყრეს და ცარიელი არ დაგვსვან, არსად არ გადაგვიკარგო ან არ გადაგვიჩეხონ, ღმერთმა იცის, ჩვენი ცოდით ბალახი აღარ ამოვა, რომ ის არ გვყავდეს".

მართლაც ისხაკმა მრავალი ლოდინის შემდეგ დაუჯერა მეუღლეს და გასწია ბოქაულის სამმართველოსაკენ.

მოხუცს ბოქაული არ დახვდა, მხოლოდ „ურიადნიკს" მიმართა; „ურიადნიკმა" ჯერ შეუბღვირა, მოხუცი სულ კანკალმა აიტანა, მერე, რა გაიგო მისი გულის წუხილი, დაუწყო ღრიალი:

— „შე გადაყრუებულო ურიავ, შენ შენი გახრეკილი ცხენის ჯავრი გაქვს კინაღამ კაცები მთლად ამოგვიხოცეს, მთელი კვირა წასულნი ვართ და მხოლოდ წუხელი დავბრუნდით"...

— „კარგი შენი ჭირიმე, უფალმა გადაგარჩინოთ ყოველ ფათერაკს, მაგრამ მეც ერთი მოხუცი ადამიანი ვარ, ეგ არის ჩემი ავლადიდება და იმიტომა მაქვს იმისი ჯავრი".

— „ჰო, და წადი ახლა და იჯავრე: შენმა ცხენმა ჭირი მოსჭამა თავის ზედ-მჯდომს. ყაჩაღების საძებრად რომ მივდიოდით, ერთ ტყეს რომ დაუპირდაპირდით ისე დაგვაყარეს ტყვიები, როგორც წვიმა, თავები ცოცხალი ძლივს წამოვიღეთ და ერთი ტყვია, მაზედ მჯდომ ჩვენი ამხანაგის მაგიერ, შენმა ცხენმა გადაყლაპა"...

ეს რომ გაიგონა საწყალმა მოხუცებულ ებრაელმა, თითქოს ის ტყვია მას მოხვდაო, მუხლებში ჩაიკეცა, რაღას გააწყობდა, წამოვიდა დაძმარებული უკან.

მისმა ოჯახმა რომ გაიგო ეს, მთელი გლოვა გამართეს, როგორც ნამდვილი შვილის სიკვდილს, ისე სტიროდნენ და მწუხარებდნენ. მეზობლები არიგებდნენ, ურჩევდნენ მოხუცებულ ისხაკს, რომ ამ საქმეს ნუ მიაყრუვებდა, რომ ეჩივლა და ხაზინა გადაუხდიდა თავისი ცხენის საფასურს, მაგრამ ეს მისი გამოუცდელობის ბრალი იყო, თუ მოხელეების ჩვეულებრივი საქმის გაჭიანურება, მოხუც ისხაკს კი ჩამოშორდა თავისი ერთგული თანამშრომელი ცხოველი და იგი მარტო—მარტო დარჩა თავისი ოჯახის მარჩენელი.

გავიდა ცოტა ხანი და ოჯახს უფრო დაეტყო სიღარიბე, ვინაიდან ისხაკი შორ სოფლებში ვეღარსად მიდიოდა და ტვირთის ზიდვაც საკუთარ მხრებზედ მეტად ეძნელებოდა. ამიტომ მისმა ისედაც მცირე მოგებამ და წარმოებამ შესამჩნევად იკლო და სიღარიბე მუდმივი სტუმარი გახდა მისი ოჯახისა.

კარგად შემოღამებული იყო. ერთ შემოდგომის ავდრიან და სუსხიან საღამოს ორ—ღობეებში ვიღაც მოხუცი დატვირთული მოაბიჯებდა მძიმეთ და თანაც ეძებდა უფრო ნაკლებათ გატალახიანებულ და მოლორძჭყილ ადგილზე მოეკიდებინა ფეხი, თორემ მისი ძველი და დაგლეჯილი ჩუსტები ისედაც დიდათ ვერ ეწინააღმდეგებოდა ლაფს და საკმაოდ გავსებულიყვნენ ტალახით. მოხუცის მოახლოვებისას გასარჩევი გახდა მისი სახე.

—საღამო მშვიდობისა, პაპა ისხაკ, რათ მოდიხართ ასე გვიან, როგორა ბრძანდებით?—შეეკითხა იქვე ვენახებიდან მომავალი ნაცნობი ებრაელი; რომელიც წამოეწია მას.

—ეჰ, ჩემო შვილო—ამოიოხრა მწარედ—ნუღარა მკითხავ, ამ ხელა კაცი ფეხებს ძლივს-ღა დავათრევ, კინაღამ ათჯერ წავიქეცი გზაში გამიჭირდა, გამიჭირდა ცხოვრება, მაინც ვშრომობ ლუკმა—პურისათვის, რა—ვქნა, ამ მოხუცობის დრო თავს ხომ არ შევირცხვენ და გლახაკობას ხომ არ დავიწყებ—და ღრმა ხვნეშით განაგრძო გზა.

შუა ზამთარი იყო, საშინლად ციოდა და ყინავდა. თითქმის ორი კვირა იყო, რომ მოხუცი ისხაკი აღარავის ენახა გარეთ. სალოცავშიც აღარ დადიოდა. ბოლო დროს ის ხშირად ავადმყოფობდა, ავადმყოფობის დროს ის მაინც იმედს არა ჰკარგავდა. ცხოვრების დუხჭირში გამოვლილი და გამოკვერილი მაინც ფიქრობდა, რომ დასძლევდა ავადმყოფობასაც, ეს მხოლოდ ზამთარისა და სიცივის ბრალიაო ეგონა დადგება გაზაფხული და მეც მზის თბილი სხივები გამამაცოცხლებსო.

მთელი ღამე ზუზუნებდა და ღმუოდა ქარი. ისე დატრიალებდა არემარეში, ასე აფორიაქებდა კარ-მიდამოს და ატრიალებდა თოვლის სვეტებს, თითქოს თოვლიან ჭიდაობა გაუმართნიათო, ხან თვით იყო ქვეშ და ზედ წაიყრიდა თოვლის ფიფქს, ხან ზევით მოექცეოდა და გადაურბენდა წივილ-კივილით. გათენებისას მზეს თუმცა ავადმყოფი გაყვითლებული სახით გაებედნა გამოხედვა, მაგრამ ქარი მაინც არ ცხრებოდა, ზუზუნებდა საშინლად. სალოცავში დილის ლოცვა გაეთავებინათ და ხალხი თითოთითოდ მიემართებოდნენ საკლისაკენ, როდესა სალოცავის უფროსმა გამოაცხადა სალოცავში.

— აბა თუ ღმერთი გწამთ ვინ იკისრებს, რომ მესაფლავენი წავიდნენ, მადლია.

—ვინ გარდაიცვალა, ვინ გარდაიცვალა?—ეკითხებოდნენ რამდენიმე ერთი მეორეს.

— „პაპა—ისხაკი", „პაპა—ისხაკი" —იყო პასუხი.

—ოჰ, საცოდავი! ამ ბოლო დროს სულ ავადმყოფობდა, მაგრამ მაინც არ უტყდებოდა და შრომობდა. ახლა რაღა ეშველება მის ცოლ-შვილს—წარმოსთქვეს დამსწრეთ ჩვეულებრივი გულმტკივნეულობით და იწყეს დენა თითო-თითოდ სალოცავიდან.

მადლიანი ხალხიც გამოჩნდნენ, რომელთაც მიაბარეს საწყალი მოხუცებული იმავე დღეს სამარეს. ქარმა ერთი კიდევ მძლავრად დაჰბერა და მის ახალ საფლავს თოვლის მშვენიერი თეთრი გუმბათი დაადგა. მის ოჯახს კი მწუხარების შავი ზეწარი გადაფარებოდა, რომელიც ბნელით მოსავდა როგორც მათ აწმყოს ისე მომავალს, სანამ ერთად ერთი ვაჟი წ მოიზრდებოდა, ცოტა წელს მოიმაგრებდა და დაიჭერდა მამის ადგილს.

ნ. ელიაშვილი.

დაჰკლეს აბანოში მისი ბავში სისხლის ამოღების მიზნით. სხვათა შორის განცხადებაში ნათქვამია, რომ „**მარჩიელმაც ასე მითხრაო**".

მთავრობის თავმჯდომარეს და შემდეგ იუსტიციის კომისარს, რომლებმაც არაფერი არ იცოდენ ამ საკითხის შესახებ, წარუდგა ებრაელთა დელეგაცია დავით ბააზოვის, დ. ბახანოვის და პინასოვის შემადგენლობით. მათი განმარტების შემდეგ აღელდენ მეტად და იქნა მიღებული სასწრაფო ზომები საქმის გამოსარკვევად.

ჩემთვის გასაგებია დელეგაციის მოთხოვნილება, რომ საქმეს მიეცეს პროცესის მსვლელობის ხასიათი და დავიდეს თავის ლოღიკურ დასკვნამდე.

საქმე მოისპო—ვსთქვათ. საკითხი იბადება: რა წაიგეს იმ შავ-ბნელმა ძალებმა, რომლებმაც გაავრცელეს ასეთი ხმები ეს მეხუთედ?

გაივლის კიდევ ცოტა ხანი და ასეთი ცილის წამება განსხვავებულ ფორმაში კიდევ წამოჰყოფს თავს.

ბრბომ, რომელმაც არ იცის საქმის ნამდვილი ვითარება—რა უნდა ჰქნას? რასაკვირველია ჩავარდება ეჭვში:

ამდენი ხალხი ამტკიცებდა, რომ ებრაელებმა ბავში მოჰკლესო და მაინც საქმე მიაფუჩეჩეს ებლაელებმაო. **ცხადია, აქ რაღაც არისო.**

და ამაშია ჩვენი ტრაგედია, რომ ეს ეჭვი მარადიულია და ვერ შევძელით შეუგნებელი მასისგან ერთხელ და სამუდამოდ მისი აღმოფხვრა.

ამ გამოურკვევლობის ბურუსიდან კი—ხალხი უნდა გამოიყვანოს მთავრობამ. საბედნიეროდ მთავრობის მიერ მიღებულია ზომები და მალე პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი ყველა ის ბოროტი პირები, რომლებიც მზაკვრულად ცდილობდენ საბჭოთა საქართველოში შეექმნათ რიტუალის პროცესი.

ეს ერთად-ერთი სწორი გზაა, რომელიც ალაგმავს საბჭოთა ხელისუფლების მტრებს—რეაქციის დაბერებულ ყორნებს და ეს გზა აღარ აძლევს მისცემს საშუალებას, რომ ასეთი პროვოკაცია გაანაღდონ იქ, სადაც ბატონობს მშრომელი ხალხი.

**ვ—ლ.**

# ქრონიკა

**კიდევ ერთი ცილისწამება.**

— **ქ ტფილისი.** 5 თვის წ ნ ე ვილაც მოქალაქე არუთინ სოლომონოვს დაჰკარგვია 3 წლის ვაჟი, რომლის შესახებაც თავის დროზედ უცნობებია ყველა უბნის კომისარიატისთვის, მაგრამ, მიუხედავათ ყველა მიღებული ზომებისა ყმაწვილის აღმოსაჩენათ, მისი კვალი ვერ აღმოუჩენიათ. ამ ორი კვირის წინეთ სრულიად შემთხვევით, ერთი სტუდენტი კუკიის სასაფლაოზე მეცნიერული მიზნებისთვის მცენარეების შეგროვების დროს წარსდგომია თავს რაღაც მიფლულ საგანს, როდესაც მიყრილი მიწა გადუშლია, აღმოჩენილა ბავშის ნეშტი და ტანისამოსის ნაშთები. ამ სტუდენტს უცნობებია ეს მე-9 უბნის კომისარიატისთვის, უკანასკნელს კი ყველა კომისარიატისათვის; მეოთხე უბნის კომისარიატს დაუბარებია ზემოხსენებული სოლომონოვი და უჩვენებია ტანისამოსის ნაშთები და უკითხია, თუ იცნობს ამაში თავის შვილს მას განუცხადებია, რომ სწორედ ჩემი შვილის ტანისამოსის ნაშთებიაო, რის შემდეგაც დაუმატებია, რომ მე ამაში ბრალს ვდებ ჩემ მეზობელ ებრაელ მენაშე მანაშეროვს, რომელსაც უნდა ეწვალებინოს რიტუალური მიზნითო და ასეც აქვს ნათქვამი ჩემი ცოლისთვის მარჩიელსაო (მკითხავს) მეოთხე უბნის კომისარს გადაუგზავნია საქმე სისხლის სამართლის მილიციისათვის, რომელსაც მიუნდვია თავის გამომძიებელ გაბუნიასათვის საქმის გამორკვევა და ნამდვილი მკვლელის აღმოჩენა. გაბუნია კი შესდგომია რიტუალის ნიადაგზე საქმის გამორკვევას. ეს ამბავი რომ ებრაელ საზოგადოებამ გაიგო, მისი წარმომადგენლები დ. ბააზოვი, დ. ბახონოვი და პინასოვი წარუდგენ მთავრობის უმაღლეს წრეებს და აცნეს საქმის ვითარება.

იუსტიციის კომისარმა ამხ. ვარძიელმა და მისმა თანაშემწემ ქ. ოკუჯავამ, რომ გაიგეს ბნელი ძალების მზაკვრული ცდები, საქმის ვასტიკი გამოძიება მიანდვეს პროკურორ ჩხიკვაძეს, რომელმაც გამოარკვია ბრალდების სიყალბე და უადგილობა, პასუხისგებაში მისცა, როგორც ეროვნებათა შორის პროვოკაციის გამავრცელებელნი, ყველა ამ საქმეში მონაწილენი.

**კულტურული მოძრაობა საქართველოს ებრაელთა შორის.**

**შრომის სკოლების დაარსება პროვინციებში.**

— **ცხინვალი.** ადგილობრივი მთავრობის დახმარებით გაიხსნა ცხინვალის ებრაელთა ბავშვებისათვის შრომის სკოლა, სადაც სწავლობენ 200 ბავშვი. სკოლაში სწავლობენ, როგორც ქართულს, ისე ებრაულ ენას და კულტურას. ებრაული საგნების მასწავლებლები გაიწვიეს ტფილისიდან.

— **ქარელი.** ქარელის ებრაელებმა აღძრეს შუამდგომლობა იუსტიციის კომისრის ვარძიელის წინაშე, რომ მათ დაკეტილ სალოცავში გაიხსნას შრომის სკოლა ადგილობრივ ებრაელთა ბავშვებისათვის.

**ტფილისი.** ქ. ტფილისში არსებულ 102 შრომის სკოლაში (ებრაელთა) გაიხსნა სამი პარალელური განყოფილება (ერთი საბავშვო ბაღი და ორი პირველი განყოფილებები); მიღებულია 120 დე ახალი მოწაფე.

— ამავე სკოლასთან დაარსდა მშობელთა წრე 15 კაცის შემადგენლობით, რომელსაც მიზნათ აქვს სკოლის მდგომარეობის გაუმჯობესება. წრემ თავის შემადგენლობიდან გამოჰყო პრეზიდიუმი შემდეგი პირებისაგან: დ. ბიაზოვი, დ. ბახანოვი, ა. მამისთვალოვი, შ. აბაჯანოვი, მ. კრიხელი, ხ. ბაჩკაშვილი და ფ. პინასოვი.

— იუსტიციის სახალხო კომისარმა ამხ. ვარძიელმა აღუთქვა ებრაელთა წარმომადგენლებს, რომ იგი გადასცემს ებრაელთა საზოგადოებებს იმ დაკეტილ სალოცავებს, რომელთა გახსნაც აღარ შეიძლება ამ დანიშნულებისათვის, იმ მიზნით, რომ ამ შენობებში მოეწყოს შრომის სკოლები ებრაელთა ბავშვებისათვის.

**თ ა რ ბ უ თ ი.**

— განათლების სახალხო კომისარმა ამხ. კანდელაკმა დამტკიცა საქართველოს ებრაელთა შორის სწავლა-განათლების გამავრცელებელი საზოგადოების „თარბუთის" წესდება, რის შემდეგაც იგი წარდგენილ იქმნა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში, რეგისტრაციისათვის, რომელიც ახლო ხანში მოხდება და მალე სათანადო რეგისტრაციის შემდეგ საზოგადოება შეუდგება მუშაობას.

— **საქართველოს ღარიბ ებრაელთა დამხმარე კომიტეტი.** რომ საქართველოს ღარიბ ებრაელთა დახმარება მოეწყოს ორგანიზაციულად და ხდებოდეს მიზანშეწონილად, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს წარუდგინა საქართველოს ღარიბ ებრაელთა დამხმარე კომიტეტმა წესდება დასამტკიცებლად, რომლის დამტკიცებასაც მოელიან ახლო ხანში.

**ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა**

**„მაკავეელის" რედაქციის თაოსნობით განზრახულია მოეწყოს გრანდიოზული „საფურიმო" საღამო.**

**შალომ აშის პიესა ქართულად.**

— ნ. ელიაშვილმა სთარგმნა ებრაულიდან ქართულად შ. აშის პიესა „დაბრუნებული" („იაცა ვეხაზარ"), რომელიც დაიბეჭდება ჩვენი გაზეთის უახლოეს ნომრებში.

— **„გმირი-ასული".** ახალგაზრდა მწერალმა გერცელ ბააზოვმა დასწერა **ორიგინალური პიესა „გმირი ასული"**, რომელიც დაამტკიცა სარეპერტუარო კომისიამ და გადაეცა კოტე მარჯანიშვილს.

## 102-ე შრომის სკოლის (ებრაელთა) საღამო.

თებერვლის სამს აიარტუნის თეატრში (ყოფილი საკამერო თეატრი) 102 შრომის შკოლის მოწაფეთ მოაწყეს თავიანთი ძალებით ლიტერატურულ მუსიკალურ ვოკალური საღამო. ეს მეორე საღამო იყო ამ შკოლის მიერ მოწყობილი ამ უკანასკნელ ხანში (პირველი საღამო ხანუკალური).

საერთოდ უნდა ითქვას, რომ მოწაფეთ ერთხელ კიდევ დაამტკიცეს, რომ ებრაელი ბავშვები არა თუ ჩამორჩებიან სხვა ერის ბავშვებს ნიჭით, არამედ განსაკუთრებულ ნიჭით არიან დაჯილდოვებულნი, თუ კი მხოლოდ ჩვენ შეუწყობთ ხელს მის გაფურჩქვნას. თუ მივიღებთ მხედველობაში რომ ამ საღამოში მონაწილეობდნენ ბავშვები დაწყებულნი 6—13 წლამდე და ისე შეუდგებით ამ საღამოს შეფასებას, მაშინ დავრწმუნდებით, რომ ამათ მოლოდინს გადააჭარბეს პროგრამა მეტათ შინაარსიანი და მდიდარი იყო: დრამა, გალობა, ლექსები, ცოცხალი სურათები და ბოლოს ვოდევილი შკოლის მოწაფეთა ცხოვრებიდან. სიტყვების შემდეგ, რომელიც წარმოსთქვა შკოლის გამგე ე კოკიელოვმა ლენინის გარდაცვალების შესახებ, რომელიც გახსნილ იქმნა სამგლოვიარო მარშით და ინტერნაციონალის სიმღერით და გერცელ ბააზოვმა „საზოგადოება და ჩვენი სკოლა", დადგმული იქმნა ერთ მოქმედებიანი დრამა „რომ ჰამანის წინა დღეს" ქართულად, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ მხოლოდ მოწაფეთა ძალები. პიესა საკმაოთ მოზრდილია და დრამატიულიც. მოთამაშეთ როლები მშვენივრად შეესწავლად და არც ერთხელ არ წამოუბორძიკნიათ თვით გრძელ დიალოგებშიაც კი (თამაშობდნენ უსუფლიოროდ). აგრეთვე შესანიშნავათ შეასრულეს ებრაულ ენაზე 1 მოქ. დრამა „ხანა".

შემდეგ წაკითხულ იქმნა მრავალი ებრაული და ქართული ლექსები. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს დ ბააზოვის ასული ფანია, რომელმაც მშვენიერი დეკლამაციით და მგრძნობიერად წაიკითხა გერცელ ბააზოვის ლექსები „კაინ" და „მარადი მგზავრის მონოლოგიდან". აგრეთვე შესანიშნავია შკოლის პატარა მოწაფე კობოშვილის ასული სიფორა, 7 წლის გოგონა, რომელიც ეს მეორედ გამოვიდა სცენაზე და თავისი გამბედაობით და კოხტა დეკლამაციით ისე შეაყვარა თავი მაყურებელ საზოგადოებას, რომ მის გამოსვლას ტაშით შეეგებნენ. ამ ღამეს ცოცხალ სურათში, წითლად განათებულ ლენინის ქანდაკებასთან, რომელსაც ზევიდან დაფრიალებდა წითელი დროშა (პყრობილი იგივე ქანდაკებასავით მდგარ ასულის ხელში), ამ გოგონამ წაიკითხა რუხაძის ლექსი „სოციალიზმი", ისე მკაფიოდ, ისე ცოცხლად და მკვირცხლად, რომ მაყურებელნი აღტაცებაში მოვიდნენ. მესამე მოქმედებაში დადგმულ იქმნა ჭავჭავაძის „კაკო ყაჩაღი", რომელსაც აგრეთვე უსუფლიოროთ ასრულებდენ, რომლებიც კარგათ შეესწავლათ და ტიპების გასახიერების მხრივაც რაც კი შეიძლება მოითხოვებოდეს ყმაწვილებიდან დამაკმაყოფილებელი იყო, განსაკუთრებით მამას როლის აღმასრულებელი. —გლეხური პოზა, კილო მართლაც რომ ბუნებრივი იყო. იყო გალობა ხოროთი სადაც შეასრულეს ებრაული და ქართული სიმღერები. და ბოლოს პატარა ვოდევილი „ახალგაზრდა გმირები", რომელიც შკოლაშივე შეეთხზათ. ვოდევილი მეტად მხიარული გამოდგა და საზოგადოებაც ბევრი აცინა. თეატრი სავსე იყო ხალხით, როგორც მშობლებით ისე გარეშე პირებითაც. საღამომ ჩაიარა კარგად და ელფერიანად. ყველა დიდ კმაყოფილებას გამოსთქვამდა საღამოს შესახებ. მ დლობის ღირსია საღამოს მომწყობი მასწავლებელთა კომისია და განსაკუთრებით ახალგაზრდა მასწავლებელი გერცელ ბააზოვი, რომელმაც დიდი ენერგია და ღვაწლი დახარჯა ამ საღამოს მოწყობაზედ. აგრეთვე დიდი მადლობის ღირსია ახალგაზრდა გეხალუციანელი რუსის ებრაელი ლაპანი, რომელიც ხელმძღვანელობდა საგალობო განყოფილებას.

სასურველია ასეთი საღამოები ხშირათ იმართებოდეს, რომელიც აქეზებს ბავშს და უძრავს ცოცხალი მოქმედების სურვილს, ხალისს და აყვარებს ხელოვნებას. ამნაირათ მომზადებულნი ბავშვები გახდებიან პირველი მერცხლები ჩვენი გაზაფხულისა.

**დამსწრე.**

# პროვინციაში

**ქ. ქუთაისი.** ქუთაისის, ოდესღაც მძლავრი და მთელ საქართველოში სამაგალითო, ებრაელობა დღეს დაიშალა, დაიქსაქსა. ჯერ ერთი რომ, მენშევიკების აგენტების ჭეოხებით დაშინებული, შეძლებული ნაწილი გაჰყვა მათ საზღვარ გარეთ, მეორეც ისა, რომ ქუთაისის საერთოთ ამ უკანასკნელ ხანებში ეკონომიურად დაცემამ გამოიწვია ებრაელების საგრძნობი ნაწილის გადასახლება საქართველოს ეკონომიურად უფრო მძლავრ ადგილებში, როგორიცაა თბილისი, ბათუმი. დღევანდელი ნაშთი ძველი ქუთაისის ებრაელებისა აღარ ატარებს იმ სიცქვიტისა და კმაყოფილების ელფერს, რომელიც წინეთ ახასიათებდა ქუთაისის საზოგადოებას. ქალაქის ეკონომიურათ დაქვეითებამ ყველაზე მეტი საგრძნობი დაღი დაადვა ებრაელობას და ძლიერ დასცა იგი მატერიალურად დღეს ქუთაისის ებრაელობა, ოდესღაც საქართველოს ყველა კუთხეების ებრაელობაზე მაღლა მდგომი ყოველ მხრივ, თითქმის უკანასკნელ რიგში მოიქცა. დასტოვა ქუთაისი აგრეთვე მოსწავლე, ანუ ნასწავლ ახალგაზრდობის იმ მცირე ჯგუფმა, რომელსაც წინეთ სიცოცხლის ნიშნები, მისი პირველი ცხოველმყოფელი სხივები შეჰქონდა საქართველოს ებრაელობაში. ასეთ პირობებში ჩავარდნილი ებრაელობა დღეს მაინც სცდილობს არ ჩაჰკლას თავის წრეში საზოგადოებრივ მოღვაწეობის უნარი და, შეძლებისა დაგვარათ, ეწევა კიდეც მას. მნიშვნელოვან მიღწევათ უნდა ჩაითვალოს ქუთაისის ებრელების ამბულატორიის არსებობა, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან გაიხსნა ჩვენს ქუჩაზე. საშუალოთ, ყოველ დღე თითქმის 50 ავადმყოფი ღებულობს უფასოთ დახმარებას, როგორც საექიმოს, ისე საჭირო წამლების ხელში მიცემით. მძიმე ავადმყოფთ, ან მშობიარე ქალებს ასეთი დახმარება ეძლევათ აგრეთვე თავიანთ ბინებზე. ამბულატორიას სათავეში უდგას ახალგაზრდა ექიმი **ი. მინოვიჩი,** რომელმაც თავისი პატიოსანი მუშაობით დიდი პატივისცემა დაიმსახურა მთელ საზოგადოებაში ექიმის გარდა ამბულატორიას ჰყავს ბებია ქალიც (საზოგადოების ხარჯზე).

ამბულატორიის სამეურნეო საქმეებს, აგრეთვე წამლების მომარაგებას და სალაროს, განაგებს განსაკუთრებული მზრუნველი კომისია 5 კაცისაგან შემდგარი, საზოგადოების მიერ არჩეული.

დღეს ქუთაისის ებრაელების იდეალს შეადგენს ამ ამბულატორიის მომავალ ებრაელ საავადმყოფოთ გადაკეთება და ეს ადვილი მოსახერხებელიც იქნებოდა, რომ ქუთაისელებს ასეთ სულიერ განწყობილებასთან ერთათ დღეს მოეპოებოდეთ ძველი მატერიალური შესაძლებლობანი. საჭირო მხოლოდ ამბულატორიის ებრაელების უბნის უფრო ცენტრში გადმოტანა (დღეს იგი მოთავსებულია მწვანე ყვავილაში).

ამ ჟამათ ქალაქში საშინლათაა გავრცელებული პარტახტიანი ტიფი, განსაკუთრებით ებრაელთა უბანში. არავითარი ზომები არაა მიღებული ავადმყოფთა იზოლაციისათვის, რაიც ხელს უწყობს სენის გავრცელებას. ღარიბ ავადმყოფთათვის, როგორც ექიმობა, ისე წამლის შეძენა, საზოგადოების ხარჯზე სწარმოებს, რის მიზნითაც დიდი მსხვილი შემოწირულებანიც სწარმოებს.

ქველმოქმედება კი ჩვენში, როგორც ჩვეულებრივათ, ძლიერ განვითარებულია. საზღვარ გარეთელ ებრაელებისაგან 1922 წელს ფულების სახით დახმარების მიღებით საფუძველია ჩაეყრა „ქუთ. ებრაელთა საურთიერთო დამხმარე კასას", რომელიც მთელი წლის განმავლობაში კარგათ მოქმედებდა, მაგრამ ბოლოს, ვალიუტის ძლიერი რყევის გამო, იგი გაკოტრდა, და დღეს ასეთი სასურველი დაწესებულება ჩვენში აღარ არსებობს. ქველმოქმედება ისევ ძველის სახით სწარმოებს.

დღეს ქუთაისის მორწმუნე ებრაელების მუდმივ სალაპარაკო საგანს შეადგენს დაკეტილ სალოცავების გახსნის საკითხი, რომლის გადაწყვეტის ისინი ისე მოუთმენლათ მოელიან თითქმის მთელი წლის განმავლობაში. ადგილობრივი ხელის უფლების წინადადება, რომ სალოცავების კულტურულ კერათ გადაქცევის პირობით, შეიძლებოდა მათი გახსნა, მორწმუნეთა მიერ უარყოფილი იქნა.

სწავლა-განათლების საქმე ჩვენში ხეთივე მდგომარეობაშია, როგორც წინეთ. ამ მხრივ საზოგადოებას, პროგრესის მაგიერ, უფრო რეგრესი ემჩნევა. დღეს იშვიათად შეხვდებით შრომის სკოლებში ებრაელ ბავშებს (ვაჟებს), რომელთათვის არავითარი სალიტერატურო წყარო არსაიდან არა სჩანს. ჩვენი ქუჩის ბნელეთის მოციქულების ჭეოხებით ამაოთ ჩაიარა ზოგიერთ მოწინავე ახალგაზრდების ცდამ სპეციალურათ ებრაელთათვის შრომის სკოლის გახსნის შესახებ (სადაც სათანადო საპატიო ადგილს დაიჭერდა ებრაული ენა, ისტორია და ლიტერატურა), და ამ მიზნით მოლაპარაკების წარმოებამ პარტკომის ყოფ. პასუხ. მგ. მდივან ამხ. ყოფ. ვ. ბახტაძესთან და განათლ. განყ. გამგე პ. ბახტაძესთან, რომელნიც თავის თავად დიდის ყურადღებით და სიმპატიით მოეპყრენ ამ საკითხს. ვიმეორებ, დღეს დღეობით სწავლა განათლების საქმე ჩვენში მეტად ანორმალურია და თხოულობს თავის გადაწყვეტას. ასეთია სურათი ჩვენი საზოგადოების დღევანდელი ცხოვრებისა. დიდი, მძლავრი და მტკიცე ხელის გაშვერაა საჭირო გარედან, ვისგანაც ჯერ არს, რომ გამოვიყვანოთ ქუთაისის ებრაელობა იმ დაქვეითების ჩიხიდან, წყვდიადის სამეფოდან, საითკენაც ის ჩქარის ნაბიჯით მიექანება.

**მ. თ.**

—

**ქ. ონი.** არავისთვის არ შეადგენს საიდუმლოებას, რომ პროვინციის ებრაელობა, როგორც კულტურულ ისე ეკონომიურ ფრონტზე განიცდის მეტად დიდ გასაჭირს და თუ დროზე არ იქნა მიღებული სათანადო ზომები, მაშინ მას აუცილებლად მოელის სრული კატასტროფა. ქ. ონის გეოგრაფიული მდებარეობა, რკინის გზის უქონლობა, მეტად გრძელი მანძილით სიშორე ცენტრთან—ყველა ამათ იმ თავითვე შესამჩნევი როლი ითამაშეს ადგილობრივ ებრაელთა ცხოვრებაში.

ონის ებრაელი ბუნებით უაღრესად მშრომელი ელემენტია, მაგრამ მის შრომას არ აქვს ფართო გასაქანი, რადგან ის შემორკალულია მხოლოდ ერთი და ისიც ღარიბი მაზრით და ამიტომაც, მისი მუდმივი პროფესია „მესოფლეობა" ვერ აკმაყოფილებს მის ცოლშვილს თუნდ უბრალო „ხმელა ჰადისთვის".

ონის ებრაელებს დიდი ხანია ჰქონდათ ერთი საბალახე ადგილი, რომელსაც ეწოდება „ყორუხი". აქაური ებრაელები ნაწილობრივ მისდევდენ საქონლის მოვლა მოშენებასაც და ეს მამული წარსულში მათ დიდათ ხელს უწყობდათ და ეხმარებოდათ. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ მენშევიკურ მთავრობის დროს ეს მამული ებრაელებს ჩამოერთვათ, გაუქმებულ იქნა როგორც „საბალახე" ადგილი და გადაეცათ კერძო პირებს იჯარით, დასახნავად. ამ ფაქტით უღარიბეს ებრაელებს, რომელთაც ერთი ძროხის მეტი არაფერი არ გააჩნდათ—პირდაპირ სული აღმოხდათ. გასაბჭოების შემდეგაც კომუნალურმა განყოფილებამ გასცა იჯარით ეს მამული არა ებრაელებზე.

ონში მოიპოებიან ისეთი ღარიბი და მშრომელი ებრაელები, რომელთაც კარგად იციან მიწის დამუშავება და დღეს კი უსაქმურად და ულუკმაპუროდ დაეხეტებიან ქუჩებში. ამათგან შესაძლებელია მოეწყოს მთელი არტელი, სადაც შევლენ უაღრესად გამოწვრთილნი და დახელოვნებულნი მშრომელები.

მე დარწმუნებული ვარ რადგან რაჭის მაზრის კომპარტია დიდის ყურადღებით ექცევა ადგ. ებრაელობას მიაქცევს ამ გარემოებასაც სათანადო ყურადღებას და ამ მამულს ყორუხს) გადასცემს ებრაელ ღარიბების და მშრომელების არტელს. ეს უნდა მოეწყოს უახლოეს მომავალში...

კულტურული მოძრაობა ონის ებრაელთა შორის სრულებით აღარ არის. წინედ, გასაბჭოებამდე ებრაელებს ჰქონდათ საკუთარი სამოქალაქო სკოლა, სადაც ებრაულ ენასთან ერთად სწავლობდენ აგრეთვე ქართულ ენას და სხვა საგნებსაც.

გასაბჭოების შემდეგ ერთ წელიწადს განაგრძო ამ სკოლამ არსებობა და შემდეგ შტატების შემოკლების დროს ადგ. სწავლა განათლების განყოფილების განკარგულებით იქნა დახურული. ამ სკოლაში სწავლობდა 120 მოწაფე ამდენი რიცხვიდან ადგ. შრომის სკოლებში 2—3 მოწაფე კიდევ დაიარება და დანარჩენები კი მოდებული არიანი საცოდავი გროშების საწვრიმალოთი—ახლო მახლო სოფლებში! პატარა ბავშვები, ჩვენი მომავალი [illegible] რომლებზედაც უნდა იყოს დამყარებული ჩვენი იმედები—ერევიან [illegible] მაცთურ, უზნეობას, სიბილწეს... ეს ხომ მთელი ტრაგედიაა, მაგრამ ადგ. ებრაელებს მაინც ვერ გაამტყუნებთ ამაში: ძველები დაგვიკეტა და ახალს ჯერ-ჯერობით არ გვაძლევენ.

აღარავინაა ჩვენ შორის გულშემატკივარი და ინიციატორი. ამიტომ საჭიროა ამ საქმეს ხელი მოჰკიდოს რაჭის კომპარტიამ და განსაკუთრებით კი სწავლა განათლების განყოფილებამ. უნდა გაიხსნას რაც შეიძლება მალე სპეციალურად ებრაელ ბავშთათვის მთლიანი შრომის სკოლა სადაც ქართულ ენასთან და სხვა საგნებთან ერთად ბავშები ისწავლიან **ებრაულ ენას და ებრაულ ისტორიასაც.**

ასეთი შრომის სკოლები უკვე მოეწყო ქ. ტფილისში, დ. ცხინვალში, დ. სუჯუნაში და სხვა ადგილებშიაც ახლა ცდილობენ მოაწყონ. ჩვენზედაც მოვიდა ჯერი. აუცილებელია სასწრაფოდ ასეთი შრომის სკოლის გახსნა, რისთვისაც სათანადო ბინა უკვე მოგვეპოვება ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ადგილობრივი კომუნისტები ამას შეხვდებიან დიდი აღფრთოვანებით.

მით უმეტეს, რომ დიდათ პატივცემული ამხანაგი ალ. ჭელიძე ებაასა ამ საკითხების გარშემო ქ. ტფილისში დ. ბააზოვს, რომელსაც აღუთქვა ყოველგვარი დახმარება და მოწესრიგება, როგორც „ყორუხის" საკითხში, აგრეთვე ებრაელთათვის შრომის სკოლის დაარსებაში. ჩვენ ვიცნობთ პატივცემულ ალექსანდრეს, როგორც ძვირფას ადამიანს და იდეურ კომუნისტს. ამიტომაც ჩვენ სასწრაფოდ მოველით, რომ ის თავის სიტყვას შეასრულებს და დაგვეხმარება ამ საჭირბოროტო საქმეებში, რითაც ის მოგვიტანს მრავალ სარგებლობას: 1) უზრუნველჰყოფს უაღრესად ღარიბ ებრაელებს მატერიალური განსაცდელისაგან. 2) გამოიყვანს მათ თავიანთ ჩარჩული მდგომარეობიდან და შეაჩვევს მ შრომას. 3. ასიოდე ებრაელის ბავშები, რომლებიც უნდა დასნეულდენ ფიზიკურად თავიანთ მძიმე ბარგის ქვეშ—იქნებიან გამოყვანილნი ამ მდგომარეობიდან და 4) იხსნის მათ აუცილებელ გადაგვარებისაგან

ამიტომ ჩვენ ველით და სრულიად საფუძვლიანადაც ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი სიტყვა არ დაიკარგება „უდაბნოსა შინა" და მალე ის გადაიქცევა რეალურ ფაქტად.

**ონელი.**

## „მაკავეელის" ფონდის გასაძლიერებლად

რედაქციამ მიიღო შემოწირულებანი შემდეგი პირებისაგან:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | ისხაკ ჩაჩაშვილი | 20 მან. | ჩერვ |
| 2 | სიმონ მეკინულოვი | 10 | „ „ |
| 3. | ილია ნამთალოვი | 10 | „ „ |
| 4. | არონ ბუზუკაშვილი | 10 | „ „ |
| 5. | შამაი ნანაზიაშვილი | 5 | „ „ |
| 6. | მ. ხახმიშვილი | 5 | „ „ |
| 7. | იოსებ თეთრიათი | 5 | „ „ |
| 8. | იეხ. ლეზგიშვილი | 5 | „ „ |
| 9. | მ. ხ. თოფჩიაშვილი | 5 | „ „ |
| 10. | იოსებ ელიგულაშვ. | 3 ოს. | ლირა |

სულ 75 მან. და 3 ლირა.

უადგილობის გამო დანარჩენ შემომწირველთა სია შემდეგ ნომერში იქნება გამოცხადებული. შემომწირველთ რედაქცია ულრმეს მადლობას უცხადებს, განსაკუთრებით სიმონ მეკინულოვს გაზეთის გამოშვების საქმეში მხურვალე მონაწილეობის მიღებისათვის.

## ჩვენი ფოსტა

**შელომო ციციაშვილს—**სალამი! მოგვაწოდე წერილები და კორესპონდენციები.

**ბენიამინ თავდიდიშვილს**—მოგვაწოდეთ გაზეთისთვის მასალები.

**მოსკოვი. ბენ. ბუზუკაშვილს**—ველით თქვენგან ჟურნალ გაზეთებს, ლექსებს და კორესპონდენციებს.

**ქუთაისი. არონ მინოვიჩს**—გამხნევდი, მოიკრიბე ძალა, მოგვაწოდე წერილები.

**იქვე. მ. კაკიტელაშვილს**—თქვენი წერილი თბილისის სადგურიდან გადმოგზავნილი, გზაში დაკარგულა. მოგვაწოდეთ სამაგიერო.

**იქვე. ბ. გაგულაშვილს**—არ გამოდგა. თქვენგან მოველით უფრო შინაარსიან წერილს. დასწერეთ გარკვეულათ.

**იქვე. გერშ. მეგრელიშვილს.** უადგილობის გამო გადაიდო შემდეგი ნომრისთვის. გამოგვიგზავნეთ კორესპონდენციები.

**საქართ. ებრ. მოწინავე ელემენტებს**—მოგვაწოდეთ კორესპონდენციები დაწერილები.

**თბილისში ჩამოსულ პროვინციელ ამხანაგებს.**—გთხოვთ შემოიაროთ ხოლმე რედაქციაში და მოგვაწოდოთ ცნობები პროვინციისებრაელთა გდგომარეობის შესახებ.

**სარედაქციო კოლეგია.**

მიიღება ხელის მოწერა ორკვირეულ ლიტერატურულ-პუბლიცისტურ გაზეთ

„მაკავეელ"-ზე

გაზეთი ისახავს მიზნად საქართველოს ებრაელთა კულტურულად ამაღლებას, სწავლა-განათლების გავრცელებას და აქეთკენ იქნება მისი გეზი მიმართული.

გაზეთში იქნება მოთავსებული წერილები შემდეგი დარგიდან:

**ლიტერატურა:** ლექსები, მოთხრობები და პიესები (ებრაული შინაარსისა) როგორც ორიგინალური (უმთავრესად საქართველოს ებრაელთა ცხოვრებიდან) ისე თარგმნები. წერილები ებრაულ ისტორიისა, ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია.

**პუბლიცისტიკა.** წერილები ებრაელი ერის და განსაკუთრებით საქართველოს ებრაელთა სოციალურ ეკონომიური და კულტურულ მდგომარეობის შესახებ. კორესპონდენციები და ცნობები ებრაელთა ცხოვრებიდან, როგორც საქართველოში ისე მთელ მსოფლიოში.

**გაზეთში მონაწილეობას მიიღებენ როგორც ებრაელთა ისე არა ებრაელი ლიტერატურული ძალებიც.**

| | | | |
|---|---|---|---|
| გაზეთი ღირს ერთი წლით | . . | 2 მ. 40 | კ. ჩერვ. |
| 6 თვით | . . | 1 „ 20 | „ „ |
| 3 თვით | . . | 60 | „ „ |

ხელისმოწერა მიიღება ყოველდღე დილით 9—12 საათამდე (გარდა შაბათისა და დღესასწაულებისა.)

მასალების გამოგზავნა და ხელის მოწერაც შემდეგი დროებითი მისამართით: ქ ტფილისი, იერუსალიმის ქუჩა, ლვინის შესახვევი № 7 6 ელიაშვილს.

სტამბა გაზეთ „ზარია ვოსტოკა"-სი, საშა წულუკიძის ქუჩა, № 4.

ნებადართულია ლიტერატურის და გამომცემლობის მთავ. მართველობის მიერ № 1072.